ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 2013 №43 (6044) ფასი: 30 თეთრი

19 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის მეორე ტომი
8 ლარი




# გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალების მინისტრები ხალხს აუპატიურებდნენ!“




## ბაჩო ახალაიას საქმეზე მოწმემ ჩვენება შეცვალა







## ბელა ნიკოლაიშვილი: „დონაძემ იცოდა, რომ სასამართლო გაათავისუფლებდა, ამიტომ ჩამოვიდა“



## უმცირესობა და უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვერ თანხმდება




## ხარიბაშვილი იონათამიშვილმა შეცვალა

გვ.4



## იური ვაზაგაშვილი ახალი ხელისუფლებისგან ირაკლი ფირცხალავას დაკავებას ითხოვს







## ნუგზარ წიკლაური: „პროკურატურა „ქართული ოცნების“ ტყუილებისა და სიცრუის მანქანად გადაიქცა“




## სასამართლოში ყველა საქმე ღია სხდომაზე განიხილება

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




**4** ფანჯიკიძე მთავრობის გადაწყვეტილებით კმაყოფილია

**3** არასამთავრობოები „რუსთავი 2“-ს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევაში ადანაშაულებენ

**7** რა პრობლემები აქვთ ნარკომან ქალებს

**6** „ხომალდის ვირთხების“ პრობლემა ქართულ პოლიტიკაში

9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# უმცირესობა და უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვერ თანხმდება

შორენა მარსაგიშვილი

## რას ითხოვს ნაციონალური მოძრაობა

**წინა კვირაში საპარლამენტო უმცირესობამ და უმრავლესობამ საზეიმოდ გვამცნეს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შეთანხმდნენ. ნაცმოძმა პირობა დადო ცვლილებებს მხარს დავუჭერთო. გუშინ კი გაირკვა, რომ მათ პირობა დაარღვიეს.**

**პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე ნაციონალურმა მოძრაობამ უარი თქვა.**




– ბოლო 10 დღის განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ერთი ნაწილი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და საზოგადოებას ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი მიეწოდებოდა. ეს აუცილებელი იყო ოპოზიციასთან მოლაპარაკებების პროცესის წარმატებისთვის. დღეისათვის მოლაპარაკების პროცესში შექმნილი ვითარებიდან და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებლად ვთვლი გავაკეთო ეს განცხადება. რამდენიმე დღის ინტენსიური მუშაობის შემდეგ ოპოზიციასთან მიღწეული იქნა შეთანხმება კონსტიტუციური ცვლილებების ყველა საკითხზე. მაგრამ ამ შეთანხმების რეალიზაციაზე ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა ბოლო მომენტში წამოჭრილ სხვა საკითხზე – საჯარო მოხელეთა ამნისტიის ფორმაზე და შინაარსზე – შეთანხმების ვერ მიღწევის გამო. მიუხედავად ამისა, მინდა მადლობა გადავუხადო მოლაპარაკების პროცესში მონაწილე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც სათანადო მონდომებითა და კეთილსინდისიერებით ეკიდებოდნენ საპასუხისმგებლო და მძიმე საქმეს. ამ ეტაპზე მოლაპარაკებების სასურველი შედეგით ვერ დასრულებაში უშუალოდ მათი წვლილი მინიმალურია. იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში უფრო პროდუქტიულად ვითანამშრომლებთ, – აცხადებს სპიკერი.

მან წარმოადგინა ის შეთავაზებები, რასაც ოცნება ნაცმოძს სთავაზობდა. უსუფაშვილმა ისიც გვამცნო რას ითხოვდა ნაცმოძი. განცხადების ამ ნაწილს უცვლელად გთავაზობთ.

**– რა შევთავაზეთ ნაციონალურ მოძრაობას (27 დეკემბერი):**

კონსტიტუციიდან იმ ნორმის ამოღება, რომლითაც პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის ერთპიროვნულად შექმნა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

**რა შემოგვთავაზეს და რაზე დავთანხმდით (15 თებერვალი):**

შეთანხმებული კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ ნებისმიერი სხვა კონსტიტუციური ცვლილებისათვის საჭირო კვორუმის გაზრდა 2/3-დან 3/4-მდე.

საგარეო პოლიტიკური საკითხების კონსტიტუციაში ჩაწერა იმ სახით და იმ ფორმით, რასაც თავად შემოგვთავაზებდნენ. პარლამენტის ადგილსამყოფელის თაობაზე ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებისთვის კენჭისყრის გადადება წლის ბოლომდე. კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის მხოლოდ ნაწილის ამოქმედებაისე, რომ პრეზიდენტს ვადის ამოწურვამდე დარჩენოდა გუბერნატორების დანიშვნის უფლება, პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად კვლავ კვალიფიციური უმრავლესობა ყოფილიყო საჭირო, პრეზიდენტის იმპიჩმენტის გართულებული პროცედურები დარჩენილიყო უცვლელად და სხვა.

**რა დამატებითი წინაპირობა წამოაყენეს (16 თებერვალი):**

უპირობო და სრული ამნისტია ყველა საჯარო მოხელისათვის (პრეზიდენტიდან მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლამდე) 2012 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.

**რაზე განვაცხადეთ თანხმობა (17 თებერვალი):**

უპირობო და სრული ამნისტია საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.

ნაწილობრივი ამნისტია მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის, რომლის მიხედვითაც ისინი გათავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლებრივი სასჯელისგან დანაშაულის აღიარებისა და 5 წლამდე ვადით საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვის პირობით (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები, სამინისტროების მსხვილი სტრუქტურების ხელმძღვანელები, გუბერნატორები, გამგებლები, მათი მოადგილეები, იუსტიციის საბჭოს და სხვა მსგავსი ცენტრალური სტრუქტურების წევრები, საკრებულოების თანამდებობის პირები, მოსამართლეები, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირები).

**რა იყო მათი საბოლოო წინადადება (18 თებერვალი):**

სრული და უპირობო ამნისტია ყველასთვის, გარდა პრეზიდენტისა, მინისტრებისა და პარლამენტის წევრებისა, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.

ამნისტიის საკითხზე შეთანხმებამდე კონსტიტუციის საკითხებზე შეთანხმების რეალიზების შეუძლებლობა.

**რა არის ჩვენი პასუხი (20 თებერვალი):**

1. ნაციონალური მოძრაობის პოზიციის მიუხედავად ჩვენ მოვამზადებთ და 2 კვირის ვადაში პარლამენტში წარვადგენთ კანონპროექტს საჯარო მოხელეთა ამნისტიის შესახებ იმ პრინციპების საფუძველზე, რაც შევთავაზეთ 17 თებერვალს.

2. პრეზიდენტის მიერ მთავრობის ერთპიროვნულად შექმნის აკრძალვის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭს ვუყრით საჭიროების მიხედვით, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე.

3. პარლამენტის ადგილსამყოფელის თაობაზე კონსტიტუციურ ცვლილებებს კენჭისყრაზე არ დავსვამთ საგაზაფხულო სესიის ბოლომდე.

4. გავაგრძელებთ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების თაობაზე ინტერფრაქციული შეთანხმების მიღწევის მცდელობას, მაგრამ 15 მარტამდე ყველა შემთხვევაში კენჭს ვუყრით პარლამენტის რეზოლუციას ამ თემაზე.

5. შევქმნით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციური რეფორმის მოსამზადებლად, მათ შორის, ქვეყნის ევროპული არჩევანის კონსტიტუციაში ასახვის მოდელების შესამუშავებლად. კომისიაში შევლენ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები.

6. საარჩევნო კანონმდებლობისა და ინფრასტრუქტურის დახვეწის მიზნით შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფი სრული დატვირთვით შეუდგება მუშაობას 1 მარტიდან. ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობისთვის მოვიწვევთ არასაპარლამენტო ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

7. შევიმუშავებთ და საზოგადოებას 1 მარტამდე გავაცნობთ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმას, რომლის მიზანი იქნება:

საზოგადოებრივი წესრიგის უმკაცრესი დაცვა პრეზიდენტისა და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებზე;

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირების კონსტიტუციური და საპროცესო უფლებების განუხრელი დაცვა და მათთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა;

ადგილობრივ თვითმმართველობებისადა სხვა საჯარო დაწესებულებების მოხელეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განუხრელი დაცვა;

საერთაშორისო საზოგადოების სრულყოფილი და დროული ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყოფილი თუ მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე.

ამრიგად, ჩვენ არ ვწყვეტთ დიალოგს ოპოზიციასთან, მაგრამ ვერც მხოლოდ უშედეგო დიალოგით შემოვიფარგლებით. უსაფუძვლო ჭირვეულობითა და ახალ-ახალი პირობების დაყენებით დროის გაყვანა ოპოზიციის ფუფუნებაა. ხელისუფლება კი ვალდებულია პირველ რიგში საქმე აკეთოს და თან დიალოგისთვისაც მზად იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საქმიანობის ზემოთ მოყვანილი გეგმა, ერთი მხრივ, ეხმიანება მოლაპარაკების პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხს და, მეორე მხრივ, მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მოლაპარაკების გაგრძელება და ფართო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა თუ ოპოზიციას ამის სურვილი და უნარი აღმოაჩნდება.

რაც შეეხება ჩვენი საკონსტიტუციო ინიციატივის მთავარ ამოცანას, იგი მიღწეულია – პრეზიდენტის ხელში არსებული დესტაბილიზაციის იარაღი მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა და, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ ქართველ ხალხს არ მოუხდება მისი განიარაღება, – ნათქვამია დავით უსუფაშვილის განცხადებაში.

სპიკერის განცხადება ნაციონალებს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. სპიკერს პასუხი ექს-სპიკერმა დავით ბაქრაძემ გასცა. ის ეხლა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერია.



– ეს არ არის ახალი საკითხი და ახალი თემა, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა მოლაპარაკებების პროცესში. თავიდანვე, მოლაპარაკების ყველა დონეზე ჩვენგან იდგა საკითხი, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ადმიანების, მათ შორის ჩვენი მომხრეების უფლებები და დაცული იყვნენ ადამიანები პოლიტიკური დევნისა და ზეწოლისგან. თუ ჩვენ ვსაუბრობთ კოჰაბიტაციაზე, თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ნორმალურად ვცხოვრობთ ერთ ქვეყანაში, თუ ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ვთანხმდებით საკონსტიტუციო მოდელზე, რომლითაც პრეზიდენტი და მთავრობა ნორმალურად ურთიერთობენ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვერ მოხდება იმ ფონზე, როდესაც ამ წუთისთვის 15 ათასზე მეტი ადამიანია დაკითხული მხოლოდ ერთადერთი ნიშნით, რომ ისინი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულები არიან ნაციონალურ მოძრაობასთან. მე არ ვსაუბრობ ე.წ. გახმაურებული და რეზონანსული საქმეების გამოძიებებზე, მე არ ვსაუბრობ მკვლელობების და წამების გამოძიებებზე. იქ რა ხდება, კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ ამ ქვეყანაში 15 ათასზე მეტი ადამიანი დაკითხულია ერთადერთი ნიშნით, რომ ისინი იყვნენ ან არიან დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან, ამიტომ თუ ჩვენ ვსაუბრობთ ნორმალურ ცხოვრებაზე, ნორმალურ ურთიერთობაზე და ერთ ქვეყანაში ურთიერთობის დალაგებაზე, რა თქმა უნდა, ამ პროცესის შეჩერების გარეშე ეს არის წარმოუდგენელი. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ დღეს არ მოხდეს მთავარი ოპოზიციური ძალის – ნაციონალური მოძრაობის განადგურება, როგორც პოლიტიკური ძალის; რომ ჩვენ ვიაროთ შერიგების და არა მუდმივად დაპირისპირების გაღრმავების გზით. ამიტომ ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, ვფიქრობ, რომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის და არა პარტიისთვის. ჩვენი შეთავაზება ამ წუთისთვის, არის შემდეგი: არანაირი დევნის შეჩერების მექანიზმი არ უნდა შეეხოთ იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ბრალდებულები კონკრეტული ტიპის დანაშაულებში. ეს არის ყველანაირი ძალადობრივი დანაშაული, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ამ ადამიანებს არ განვიხილავთ პოლიტიკური დევნის ნაწილად და ამიტომ, ასეთი ადამიანები არიან ცალკე და არანაირი ზეწოლის შეჩერების მოთხოვნა მათზე არ არის. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ეს ზეწოლის კამპანია უნდა შეჩერდეს მთლიანად. სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით უმრავლესობას განსხვავებული პოზიცია აქვს. ლიდერების დონეზე, სახელმწიფო თანამდებობის პირების დონეზე თუ რაიმე სადმე პრობლემა ან დანაშაული იყო, არავინ არ ითხოვს იმუნიტეტს საკუთარი თავისთვის, არავინ არ ითხოვს პატიებას საკუთარი თავისთვის. დამნაშავეა დათო ბაქრაძე? გამოიძიონ და დასაჯონ დათო ბაქრაძე. დამნაშავეები არიან გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, მიხეილ სააკაშვილი? კი ბატონო, არავინ არ ითხოვს იმუნიტეტს საკუთარი თავისთვის, მაგრამ თავი დაანებეთ ყველა იმ ათასობით ადამიანს, რომელიც დღეს ყოველდღიურ რეჟიმში დადიან დაკითხვებზე. ეს არის ჩვენი წინადადება. ექვსი ათასი ადამიანია დაკითხული თბილისის მერიაში, იმ მიზნით, რომ რამენაირად გიგი უგულავას ბრალი დაუმტკიცდეს. ქვეყანას სჭირდება სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა და თუ ამას სჭირდება ლიდერების დასჯა, ჩვენ ამისთვის მზად ვართ, ოღონდ ყველა დანარჩენს დაანებონ თავი და შეწყვიტონ მათ მიმართ პოლიტიკური დევნა. ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ მოლაპარაკებები. იმედი მაქვს, რომ დიალოგი გაგრძელდება, – აღნიშნა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე საპარლამენტო უმრავლესობასთან მოლაპარაკებების პროცესში გარდა აღნიშნულისა, რამდენიმე თემა გამოიკვეთა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# არასამთავრობოები „რუსთავი 2“-ს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევაში ადანაშაულებენ

**საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილი მიმდინარე წლის 19 თებერვალს გავრცელებულ ბუტა რობაქიძის მკვლელობის კადრებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

„მიგვაჩნია, რომ გავრცელებული სიუჟეტით „რუსთავი-2“-მა დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, ტელეკომპანიამ ხელი შეუწყო დაინტერესებული მხარის პოზიციების ტირაჟირებას, რადგან არ გაითვალისწინა წყაროს შესაძლო დაინტერესება, არ ეცადა გადაემოწმებინა ფაქტები და მოეძიებინა დამატებითი მასალები.

ჟურნალისტმა სიუჟეტში განაცხადა: – ,,ეს არის კადრები, რომელიც მანქანის გაჩერებიდან პირველივე წუთებში არის გადაღებული, მაყურებელს შევახსენებ, რომ ეს არის უწყვეტი კადრებით გადაღებული, ანუ ამ კადრების გადაღებისას კამერა არც ერთხელ გათიშული არ ყოფილა. კადრებიდან ჩანს, როგორ დააკავა საპატრულო ეკიპაჟმა იმ მანქანაში მყოფები, რომლებიც ბუტა რობაქიძესთან ერთად იყვნენ და შემდეგ როგორ ამოაქვთ ამ მანქანიდან იარაღი – ერთი პისტოლეტი და ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“.

შესაბამისად, ჟურნალისტის ამ ტექსტით, ტელეკომპანიამ ფაქტად წარმოაჩინა პროკურატურისთვის დაინტერესებული პირის მიერ გადაცემული მტკიცებულება, რაც ჯერ კიდევ საჭიროებს დამატებით ექსპერტიზასა და გამოკვლევას“ – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

მათივე შეფასებით, სიუჟეტში გამოთქმული იყო უმძიმესი ბრალდებები საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრის, ვახტანგ კომახიძის მიმართაც, თუმცა მისი პასუხი ან რაიმე მინიშნება, რომ ტელეკომპანია შეეცადა ან შეეცდებოდა მასთან დაკავშირებას და მისი მოსაზრების მოწოდებას, ჟურნალისტის მიერ არ გაკეთებულა.

„ინფორმაციის ასეთი სახით გავრცელებით, ტელეკომპანიამ მოახდინა იმ ადამიანზე თავდასხმა, რომელიც არ მონაწილეობდა პროგრამაში.

გარდა ამისა, ყველა ტელეკომპანიამ, რომელმაც გაავრცელა ეს კადრები, დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 35-ე მუხლის მე-20, 23-ე და 24-ე პუნქტები. კერძოდ, 23-ე პუნქტი: „ტანჯვისა და მწუხარების ამსახველი საარქივო მასალის (დანაშაულის ჩათვლით) გამოყენებისას, მაუწყებელი უნდა შეეცადოს შეამციროს ის პოტენციური ტრავმა, რომელიც შესაძლოა ამ მასალამ მიაყენოს მასში ასახულ პიროვნებას და/ან მის ნათესავებს.“

მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული კადრები ეხება გახმაურებულ საქმეს, მნიშვნელოვან დარღვევად უნდა მივიჩნიოთ ამ კადრებში ასახული პირების დაუფარავად და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩვენებაც“ – ნათქვამია განცხადებაში.

არასამთავრობოები მედიასაშუალებებს მოუწოდებენ არ გაავრცელონ გადაუმოწმებელი, ღირსების შემლახველი და პირადი ცხოვრების ხელმყოფი მასალები, რითაც დაინტერესებული მხარეების ინტერესების ტირაჟირებას შეიძლება შეუწყონ ხელი.

განცხადებას ხელს 9 არასამთავრობო ორგანიზაცია

**ნიუსპრესი**

# გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი რკინიგზის გახსნა საქართველოსთვის საფრთხეს არ შეიცავს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 13 თებერვლიდან 20 თებერვლამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის გახსნა, საქართველოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

კითხვაზე – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის გახსნა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის მატარებელია“, გამოკითხულთა 55,6 პროცენტმა უპასუხა, რომ რკინიგზის გახსნა საფრთხეს არ შეიცავს, 25,9 პროცენტი კი საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მონაწილეთა 18,5 პროცენტს გაუჭირდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, აღნიშნული რკინიგზის გახსნა, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის მატარებლად შეაფასა.

**ნიუსპრესი**

# გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალების მინისტრები ხალხს აუპატიურებდნენ!“

შორენა მარსაგიშვილი



პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის ტრაგიკული ისტორია საქართველოში ყველამ იცის. საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი წამებით მოკლეს. ჯალათები მისგან ჯაშუშობის აღიარებას ითხოვდნენ, მაგრამ სასურველი ჩვენება ვერ მიიღეს, რაც სერგო თეთრაძეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

დეპუტატ გია ცაგარეიშვილს ამ საქმესთან დაკავშირებით ადრეც გაუკეთებია განცხადებები. ცაგარეიშვილი ამ საქმის ევროპაში გაგზავნას აპირებს. ამის შესახებ განცხადება დეპუტატმა პარლამენტის სხდომაზე გააკეთა. მას საკმაოდ ემოციური გამოსვლა ჰქონდა. ნაციონალებს, ალბათ, ძალიან უჭირდათ მისი განცხადების მოსმენა, ისევე, როგორც იმ ფოტოების ყურება, რომლებიც ცაგარეიშვილმა წარადგინა.

ყველაზე მეტად კი იმით შეწუხდნენ, რომ დეპუტატი ამ ფოტოების გაგზავნას ევროსტრუქტურებში აპირებს, რომელთა წარმომადგენლებიც ნაციონალებს ლობირებენ და ამით, ცაგარეიშვილის თქმით, ეშმაკის ადვოკატობას ეწევიან.

ნაციონალები ბოლო დროს ხშირად უჩივიან ზეწოლებს და საშველად ევროპას მიმართავენ. ევროპელი დიპლომატებიც ინერვიულებენ თავს მათი ჩაგვრის გამო. საინტერესოა, რა შეფასებას მისცემენ პატიმარ სერგო თეთრაძის ისტორიას.

ზეწოლაზე მოწუწუნე ნაცმოძს ცაგარეიშვილმა გუშინ მათ მიერ ჩადენილი საქმეები გაახსენა, ამასთან, პირობა მისცა, რომ მათი დრო აღარასოდეს დაბრუნდება. ის, რაც ცაგარეიშვილმა მოყვა, თითქმის ყველამ ვიცით, მაგრამ ეს მაინც ძალიან მძიმე მოსასმენი იყო. ამ ამბების მოყოლა დეპუტატსაც გაუჭირდა.

– მე მინდა, ჩვენი კოლეგები უმცირესობიდან მათ მიერ შექმნილ რეალობაში დავაბრუნო და ვესაუბრო საზოგადოებას ერთ საშინელ ფაქტზე, რომელიც სწორედ მათი მმართველობის პერიოდში განხორციელდა. საქმე ეხება შეიარაღებული ძალების ვეტერან სერგო თეთრაძის მკვლელობის, ასევე მისი მეგობრების საზარელი წამებისა და შეურაცხყოფის ფაქტს. საგამოძიებო ნაწილის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ სერგო თეთრაძე დაწესებულების ტერიტორიიდან კანონის უხეში დარღვევით 2011 წლის 20 სექტემბერს უკანონოდ იქნა გაყვანილი ამავე დაწესებულების დირექტორ ალექსანდრე მუხაძის, მეტსახელად „ქილერას“ სამსახურებრივი მანქანით, რა დროსაც მასთან ერთად იმყოფებოდნენ ამავე დაწესებულების სარეჟიმო სამსახურის ოფიცერი, მუხაძის ნათლული სერგო ბიწაძე და ასევე მუხაძის მეგობარი, სხვა უწყების, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი რატი მგელაძე. ამ ფაქტს ადასტურებენ თვითმხილველი მოწმეები, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ სერგო თეთრაძის წამებაში მონაწილეობა მიიღო ორმა პატიმარმა – ტერაშვილმა და სისაურმა. როგორც ირკვევა, ეს ადამიანები სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევნი არიან. მათ სასჯელაღსრულების ადმინისტრაცია სხვა პატიმრების წინააღმდეგ ძალადობის განსახორციელებლად იყენებდა.

– დაწესებულების დირექტორ მუხაძის, დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროს ყაჭეიშვილის, სამართლებრივი სამსახურის უფროს ფაცაციას უკანონო სიტყვიერი ბრძანებით სერგო თეთრაძის მიმართ მისგან ჯაშუშობის აღიარების ჩვენების მიღების მიზნით 2011 წლის 23 სექტემბერს, ღამის 10 საათზე, კარანტინის დაშლის დროებითი განთავსების საკანში განახორციელეს ფიზიკური ძალადობა, კერძოდ, 20 წუთის განმავლობაში სცემდნენ მას. შემდეგ ცემისგან დაუძლურებული თეთრაძის მიმართ განახორციელეს სხვა სახის ძალადობა, რის შემდეგაც პატიმარმა გონება დაკარგა და ნახევარ საათში გონს მოუსვლელად გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა პატიმარს აწამებდნენ, ამ ფაქტს თვალს ადევნებდნენ და კიდევ უფრო აქეზებდნენ მოძალადეებს ზემოთ ხსენებული თანამდებობის პირები. ისინი ახორციელებდნენ ვიდეოფიქსაციას. აღნიშნული დანაშაულის ორგანიზებაში ასევე მხილებულია ბაჩანა ახალაიას ნდობით აღჭურვილი პირი მეგის ქარდავა, რომელსაც ბრალად ედება პატიმარ სერგო თეთრაძისა და ასევე სხვა პატიმრების წამების ორგანიზება. იგივე ბრალდებები აქვთ წარდგენილი სხვა თანამდებობის პირებს, ყაჭეიშვილსა და ფაცაციას. ამ საქმეებზე ტერაშვილსა და სისაურს უკვე შეეფარდათ შესაბამისი სასჯელები და მათ აღეკვეთათ თავისუფლება 18 წლით, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

სერგო თეთრაძის გარდა, ამ საქმეზე დაკავებული სხვა პირებიც სასტიკად აწამეს, რაშიც, დეპუტატის თქმით, უშუალოდ მონაწილეობდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი ბაჩო ახალაია.

– გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ არაადამიანური მოპყრობა განხორციელდა ამავე საქმეზე დაკავებული სხვა პატიმრების მიმართ. ეს ძალადობები რომ ჩამოვთვალო, ამისთვის არც 4 წუთი მეყოფა და არც 10. უბრალოდ, შემიძლია გითხრათ, რომ ერთ-ერთი ადამიანი საბელგამობმული ატარეს თავდაცვის სამინისტროს დერეფანში და ამაში უშუალოდ მონაწილეობდა დაკავებული ბაჩანა ახალაია სხვა ნაძირლებთან ერთად, – ამბობს ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენელი.

ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირზე მოტირალ ნაცმოძს გია ცაგარეიშვილმა სერგო თეთრაძის ფოტოებიც აუფრიალა და მოსთხოვა, კარგად დაჰკვირვებოდნენ ამ სურათებს.

– მე ვიყავი გარდაცვლილის ოჯახში. შემომხედეთ, უმცირესობის წევრებო. ეს არის სერგო თეთრაძის ფოტოები. ეს არის მისი ფოტოები გარდაცვალებამდე და ეს – გარდაცვალების მერე. ეს არის ნაციონალური მოძრაობის რეალური სახე, – თქვა დეპუტატმა.

მან ნაციონალებს პირობა მისცა, რომ ამ საქმეს ძალიან მალე ევროპარლამენტის წარმომადგენლები გაეცნობიან.

– ამ საქმეს გადავთარგმნი, ამ სურათებს დავურთავ და ვაახლებ ევროპაში თქვენს კოლეგებს, რომლებიც აქ ჩამოგყავთ და ეშმაკის ადვოკატობას ეწევიან, – მიმართა ცაგარეიშვილმა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს.

მართლაც, საინტერესოა, რას იტყვიან ამაზე ევროპელები. მაინტერესებს, რა რეაქცია ექნებოდათ ევროპაში ხალხს ან პოლიტიკოსებს, მათთანაც ასე რომ ეწამებინათ პატიმრები.

1 ოქტომბრის შემდეგ გამუდმებით ზეწოლაზე მოწუწუნე ნაციონალებს ცაგარეიშვილმა უთხრა, რომ მათი დრო აღარასდროს დაბრუნდება.

– ეს არის სამარცხვინო მოვლენა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს დრო საქართველოში აღარ დაბრუნდება. აღარ დაბრუნდება დრო, როცა ადამიანებს აუპატიურებდით და წამებით ხოცავდით. ამას აკეთებდნენ მინისტრები, მათი მოადგილეები და სხვა ჯურის ნაძირლები სწორედ თქვენი გუნდიდან. როგორც გინდათ, ეს ისე გაიგეთ, გინდ ზეწოლად, გინდ შეფასებად. შეიკრიბეთ სადმე, ჩაიკეტეთ, როგორც იკეტებოდით ხოლმე, ტვინს რომ ურეცხავთ ახალგაზრდებს, ეს ამბავიც მოუყევით, – უყვირა ნაციონალებს ცაგარეიშვილმა.

# სასამართლოში ყველა საქმე ღია სხდომაზე განიხილება

შორენა კოწოწაშვილი

სამართლიანი სასამართლოსა და ობიექტური მართლმსაჯულების ჩამოყალიბების გზაზე კოალიცია „ქართული ოცნება“ არაერთ საკანონმდებლო ინიციატივას განიხილავს. ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელების პირობა კოალიციამ წინასაარჩევნოდ დადო და ახლა ამ დანაპირების აღსრულების პროცესშია. კოალიციის წევრებმა სათანადო საკანონმდებლო ინიციატივები უკვე მოამზადეს და პარლამენტში განხილვებიც დაიწყო.

აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივათა შორისაა სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპის გაუქმებაც. შესაბამისი ცვლილება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში შედის, გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. კომიტეტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას სასჯელთა უპირობო შეკრებითობის გაუქმების თაობაზე.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის შალვა თადუმაძის განმარტებით, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, საქმის კონკრეტული გარემოებებისა და განსასჯელის პიროვნებიდან გამომდინარე, გადაწყვეტს, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს თუ ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება მოცემულ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. თუმცა, როგორც თადუმაძემ აღნიშნა, რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, ეს არის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიღებას ათასობით ადამიანი ელოდება. მისივე თქმით, კანონს ექნება უკუქმედების ძალა და უპირობო შეკრებითობის პრინციპით გასამართლებულ პირებს კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში შესაძლებლობა ექნებათ, საქმის ხელახლა გადასახედად სასამართლოს მიმართონ.



გუშინვე კომიტეტის სხდომაზე განიხილეს პარლამენტის წევრების ვახტანგ ხმალაძისა და ლევან ბეჟაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

როგორც კომიტეტის სხდომაზე კეა ბესელიამ მიუთითა, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილი იქნება, შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის კინო, ვიდეო, აუდიო ჩაწერა და ეთერში გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე.

გუშინდელ კომიტეტის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა აგრეთვე წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც. კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სამართალს ვერ დაემალებიან. ადრე თუ გვიან ყოფილი ჩინოვნიკები მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან.

– ბუნებრივია, მათ აქვთ ძალიან დიდი კონტაქტები. ვსაუბრობ ადეიშვილზე, კეზერაშვილზე, ახალაიაზე ან სხვა ასეთი კატეგორიის ყოფილი თანამდებობის პირებზე. მათ დიდი ფინანსური რესურსი და დიდი შესაძლებლობები აქვთ იმისათვის, რომ მოძებნონ მათთვის ხელსაყრელი და უსაფრთხო ადგილი. მაგრამ საერთაშორისო ძებნის გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ქვეყნები ჩაერთვებიან ამ პროცესში, სადაც შესაძლებელია, ეს ადამიანები იმალებოდნენ. თუმცა სამართალი ყველას კართან დააკაკუნებს და მას ვერავინ დაემალება, – ამბობს ეკა ბესელია.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილმა სხდომაზე განაცხადა, ცვლილება ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახის ტექნიკური და სამეცნიერო დარგის ახალგაზრდების დაინტერესებას და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სოფლის მეურნეობის სფეროში სათანადო განათლების მიღებას.

– აუცილებელია, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, სხვადასხვა სახის საერთო სამაგისტრო გამოცდის შემოღებაც. მთავრობას მიაჩნია, რომ სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება უნდა გაუქმდეს, ამასთანავე, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების უფლებამოსილება განათლებისა და მეცნიერების მინისტრს უნდა მიენიჭოს, – აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა კომიტეტის სხდომაზე.

# ბაჩო ახალაიას საქმეზე მოწმემ ჩვენება შეცვალა

ნათია ხურცილავა



**თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულების საქმეზე მორიგი სხდომა 28 თებერვალს გაიმართება. ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ მიიღო.**

**პროცესზე დასწრების მსურველთა დიდი რაოდენობის გამო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველაზე დიდ დარბაზში გაიმართა. სასამართლო პროცესს ოჯახის წევრებთან ერთად საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.**

სასამართლო პროცესს ბრალდებულებიც ესწრებოდნენ, მათ შორის ბაჩო ახალაია, რომლის გამოჩენასაც დამსწრეები აპლოდისმენტებით შეეგებნენ. ცნობილი გახდა, რომ ადვოკატები მომდევნო სხდომაზე აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობას დააყენებენ და ახალაიასთვის გირაოს შეფარდებას მოითხოვენ. მალხაზ ველიჯანაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულების ყოფილმა თანამშრომელმა გაგა მკურნალიძემ პოზიცია შეცვალა და დანაშაულს აღარ აღიარებს, საქმეში ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება არ არსებობს, რის გამოც აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შანსი არსებობს.

სხდომას მოსამართლე ეკა არეშიძე უძღვებოდა, რომელმაც, საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მედიასაშუალებებს პროცესის დასაწყისის ვიდეოგადაღების ნება დართო.

ახალაიას გარდა, აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული არიან გიორგი კალანდაძე, ალექსანდრე გორგაძე, ზურაბ შამათავა, გაგა მკურნალიძე, მერაბ კიკაბიძე, ასევე მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი, რომლებიც ძებნაში იმყოფებიან და, ამდენად, პროცესს არ დასწრებიან.

ყოფილი მინისტრის ადვოკატმა პროცესის დაწყების შემდეგ სასამართლოს წინაშე წინასასამართლო სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერისა და ტელევიზიის ტრანსლაციის შესახებ შუამდგომლობა დააყენა, რომელიც მოსამართლემ აუდიოჩაწერის ნაწილში დააკმაყოფილა და, შესაბამისად, სხდომის აუდიოჩაწერა განხორციელდა.

ამის შემდეგ ბრალდებულებისთვის ბრალის განმარტება მოხდა. ბრალდებულთაგან არც ერთი მათგანი წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

პროცესზე ბრალდების მხარემ მტკიცებულებათა ნუსხა წარმოადგინა, რომელიც 200-მდე მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ოქმებს, შემთხვევის ადგილისა და ნივთიერების დათვალიერების ოქმებს, „ჯეოსელიდან“ და „მაგთიდან“ ამოღებულ დეტალურ ნუსხებს, სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნებს და ა.შ. შეიცავდა.

გამოძიების ინფორმაციით, საქმე ეხება 2011 წლის ოქტომბერში მომხდარ ამბავს, როდესაც თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე გიორგი კალანდაძემ და მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა ზურაბ შამათავამ ჯერ თავდაცვის მინისტრის კაბინეტში, შემდეგ კი ვაზიანში დისლოცირებულ მეოთხე ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების ხუთ სამხედრო მოსამსახურეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ასევე გამოძიების ინფორმაციით, 2011 წლის 13 სექტემბერს, გამთენიისას, ბაჩანა ახალაიამ სხვა პირების დახმარებით თბილისში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ფიზიკურ პირს ზურაბ აბესაძეს და მუქარით მოსთხოვა, მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის ეჩუქებინა, რასაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. მანქანის გადაცემის შემდეგ, ბაჩანა ახალაიას დავალებით, აღნიშნული პირი თბილისში, მუხიანის დასახლებაში წაიყვანეს, სადაც მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს.

ბაჩო ახალაიას ბრალი 143-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 333-ე მუხლის მე-3 პუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), სსკ 144-ე (წამება) პრიმა 1 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ „დ“ ქვეპუნქტებით აქვს წაყენებული, გიორგი კალანდაძესა და ზურაბ შამათავას კი — 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). ამასთან, აბესაძის ეპიზოდთან დაკავშირებით გიორგი კალანდაძეს ბრალი 143-ე მუხლის მეორე ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) დაუმძიმდა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეში ბრალდების მხარის ერთ-ერთ მოწმედ საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი ხელმძღვანელი, პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული შიდა ქართლში ზურაბ არსოშვილი ფიგურირებს.

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ წინასასამართლო სხდომაზე პროკურატურამ წარმოადგინა მტკიცებულებათა ნუსხა, რომელიც 200-მდე მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებას შეიცავს, რომელთაგან ერთ-ერთი მოწმე სწორედ ზურაბ არსოშვილია.

ახალაიას ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი ადასტურებს, საუბარი სწორედ შიდა ქართლში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულ ზურაბ არსოშვილზეა. ადვოკატის თქმით, მას არსოშვილის ჩვენება არ წაუკითხავს და, შესაძლოა, ის ზოგადი ხასიათის იყოს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილმა პირველმა მოადგილე გაგა მკურნალიძემ პოზიცია შეცვალა და იგი ბრალს აღარ აღიარებს.

როგორც ველიჯანაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, გაგა მკურნალიძემ თავის ადვოკატებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება ზეწოლის ქვეშ მიაცემინეს და, შესაბამისად, პოზიცია შეიცვალა.

— გაგა მკურნალიძე არის ერთადერთი მოწმე, რომელიც ადასტურებდა ზვიად აბესაძისთვის ბაჩო ახალაიას დავალებით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტს. პროკურატურის განცხადებით, მკურნალიძე ბრალს აღიარებდა, დღეს კი სასამართლოზე მან განაცხადა, რომ ბრალს არ აღიარებს. ამის შემდეგ მკურნალიძემ საკუთარ ადვოკატებს უთხრა, რომ მას ციხეში ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება მიაცემინეს ზეწოლის ქვეშ, რომ არანაირ გატაცებასა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, მკურნალიძემ პოზიცია შეიცვალა, — განაცხადა ველიჯანაშვილმა.

ადვოკატი გიორგი ონიანი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილე გაგა მკურნალიძემ პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ დანაშაულს არ აღიარებს, დადასტურდა, რომ მას წინა ჩვენება ზეწოლის ქვეშ ჰქონდა მიცემული.

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გუშინ დაფიქსირდა, რომ 30 პატრულს არაადეკვატური ჩვენებები აქვთ მიცემული ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში და ბაჩო ახალაიას საქმეში უკვე გამოაშკარავდა, რომ გაგა მკურნალიძემ ჩვენება მისცა ზეწოლის ქვეშ და დადასტურდა, რომ ზვიად აბესაძის მიმართ არანაირ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, — განაცხადა ონიანმა.

# ხაჩირიშვილი იონათამიშვილმა შეცვალა

ნათია ხურცილავა





თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“ კოკი იონათამიშვილი უხელმძღვანელებს. მისი კანდიდატურა საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილმა ფრაქციის სხდომის დაწყებამდე წარადგინა და მას მხარი ყველამ ერთხმად დაუჭირა.

იონათამიშვილის მოადგილეებად ფრაქციამ სევდია უგრეხელიძე და ვახტანგ ცაგარეიშვილი აირჩია, ხოლო ფრაქციის მდივანი ხვიჩა სანაია გახდა. როგორც კოკი იონათამიშვილმა აღნიშნა, მისი ამოცანა ფრაქციის ორგანიზება იქნება, რათა ის პრობლემები, რომლებიც დედაქალაქის მოსახლეობას აწუხებს, უფრო ეფექტიანად გადაწყდეს.

ეს ცვლილება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა თანამდებობა და პარტია დატოვა.

ხაჩირაშვილის განცხადებით, ის ტოვებს თანამდებობას და ემიჯნება „ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა, როგორც თავად ამბობს, რჩება საკრებულოში, როგორც რიგითი მაჟორიტარი დეპუტატი.

ხაჩირაშვილმა მიზეზად ბოლო პერიოდში თანხვედრის არარსებობაზე გაამახვილა ყურადღება. თბილისის საკრებულოში მოვლენები, შეიძლება ითქვას, ელვის სისწრაფით განვითარდა. რამდენიმე დღის წინ „ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის საკრებულოს კიდევ ერთმა დეპუტატმა ზურაბ გაჩეჩილაძემ (შონზომ) დატოვა.

საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ სევდია უგრეხელიძის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ პოლიტიკური კათარზისის პროცესი მიმდინარეობს.

უგრეხელიძის განცხადებით, ფრაქციის წევრებზე სხვადასხვა სახის ზეწოლა მიმდინარეობს, რომელსაც ზოგიერთი ადამიანი ვერ უძლებს.

— ვინც ამ ზეწოლებს გაუძლებს, ის დარჩება პარტიაში, ხოლო თუ არავინ დარჩება, ისე, როგორც მოქალაქეთა კავშირის შემთხვევაში მოხდა, აღმოჩნდება, რომ ეს პარტია სიცოცხლისუნარიანი არ ყოფილა, — აღნიშნა უგრეხელიძემ.

საკრებულოს დეპუტატი მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ბევრი კარგი რამ გაკეთდა, თუმცა, ალბათ, არსებობდა ხარვეზებიც, რაც უნდა გამოსწორდეს.

— იდეალური ხელისუფლება არ არსებობს, არც ჩვენ ვიყავით იდეალურები და ვერც „ქართული ოცნება“ იქნება, ამიტომ კრიტიკა ადვილია. ერთი რამ მინდა გითხრათ — ოპოზიციაში ყოფნა არ არის ტრაგედია, ამას დადებითი მხარეებიც აქვს, რადგან უამრავ საკითხზე შეიძლება, საკუთარი აზრი პირდაპირ და ღიად გამოთქვა, — განაცხადა სევდია უგრეხელიძემ.

უგრეხელიძემ კომენტარი დეპუტატ ნიკო ხაჩირაშვილის მიერ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების თაობაზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ არავითარი უთანხმოება ფრაქციის შიგნით არ ყოფილა.

— ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან ადამიანების ნაწილი ფიქრობს, რომ მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნით მიაღწევს წარმატებას. ეს პოლიტიკური კათარზისის ანუ თვითგანწმენდის პროცესია, — განაცხადა უგრეხელიძემ.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია ნიკო ხაჩირაშვილის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებასთან დაკავშირებით „ნაცმოძრაობის“ წევრთა ბრალდებებს გამოეხმაურა.

— სირცხვილი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ობლად და თავმჯდომარის გარეშე დარჩენილი ფრაქციის გამო განიცდის, ცდილობს გადაფაროს მათგან წარსულში მრავალჯერ ნაცადი, თუმცა ახალი რეალობისთვის შეუსაბამო თემით, თითქოს ბატონ ნიკოზე ადგილი ჰქონდა ზეწოლას. ამ ბრალდების უსაფუძვლობა დაამტკიცა დრომ და გარემოებებმა და ამ ბრალდების მრავალჯერ გახმოვანებით „ნაციონალური მოძრაობა“ ადასტურებს, რომ მათთვის სრულიად წარმოუდგენელია, რომ შესაძლებელია ადამიანმა თავისუფალ პირობებში, ზეწოლის გარეშე მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილებები, — განაცხადა გაბუნიამ.

გაბუნია აცხადებს, რომ მომავალში ასეთ გადაწყვეტილებას „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ სხვა დეპუტატებიც მიიღებენ და ამის მთავარი მიზეზი იქნება არა ვინმეს ჩარევა, არამედ ის, რომ მათ სურთ, გაემიჯნონ ფრაქციას, რომელმაც გაერთიანებული ქვითრისა და ათობით სხვა საზოგადოებისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება მიიღო.

# ფანჯიკიძე მთავრობის გადაწყვეტილებით კმაყოფილია

ნათია ხურცილავა



საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ საგანგებო განცხადება გააკეთა. მაია ფანჯიკიძის აზრით, მთავრობის არჩევანი, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში ელჩების ცვლილებას უკავშირდებოდა, სწორი გადაწყვეტილება იყო.

— მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც ჩანს, ჩვენი არჩევანი, რომელ ქვეყნებში შეგვეცვალა ელჩები, იყო სწორი, რადგანაც, იმისდა მიხედვით, რა მომდის მე ახლა ელჩებისგან და საელჩოებისგან, სამწუხაროდ, ვაფიქსირებ, რომ ისინი ძალიან ხშირ შემთხვევაში სამინისტროდან მიღებულ დავალებებს არ ასრულებენ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ერთ-ერთი ასეთი დავალება იყო მთავრობის 100 დღის ანგარიშის წარდგენა ადგილსამყოფელ ქვეყნებში და მე არ ვარ კმაყოფილი იმ მუშაობით, რომელიც განახორციელეს იმ ელჩებმა, რომლებიც გამოწვეული არიან და იციან მათი გამოწვევის თარიღი, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა პარლამენტში წარდგენილი ახალი ელჩების კანდიდატურების შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა:

— ისინი არიან მაღალი დონის პროფესიონალები, ძალიან კომპეტენტური ადამიანები. მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი მათ მხარს დაუჭერს და შემდეგ ისინი გახდებიან საქართველოს ელჩები იმ ქვეყნებში, სადაც იქნებიან წარგზავნილნი და თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებენ, — დასძინა ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხელაიას განცხადებით, პარლამენტისთვის ელჩობის კანდიდატურები პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს უნდა წარედგინა, თუმცა, მოუცლელობის გამო, ეს ფუნქცია ფანჯიკიძის უწყებას დაეკისრა.

— როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნული კანდიდატურები უნდა განხორციელებულიყო საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მიერ. 6 თებერვალს გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანება, რომლის თანახმადაც, ეს ფუნქცია დაეკისრა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, კერძოდ, მინისტრის მოადგილეს. როგორც ჩვენთვის ცნობილი იყო, ეს გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მოუცლელობით და საკომიტეტო მოსმენისთვის პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დაკავებულობით, — განაცხადა ხელაიამ.

## ქართულ-ოსური მისია უჩა ნანუაშვილს ოსი და აფხაზი პატიმრების სიის დაზუსტებას სთხოვს

„ქართულ-ოსურმა მისიამ“ საქართველოს სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს წერილით მიმართა და ცხინვალის რეგიონელი და აფხაზი პატიმრების სიის დაზუსტება სთხოვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით „მისიის“ წარმომადგენლები ნანუაშვილს 26 თებერვალს შეხვდებიან.

„გვინდა გაცნობოთ, რომ რამდენიმე თვის წინ „საქართველოს ხალხთა ასამბლეამ“ მოგვმართა თხოვნით, დაგვეზუსტებინა პატიმართა სია სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. სამწუხაროდ დღემდე ეს ვერ შევძელით. გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს სია უბრალოდ არ არსებობს და გამოვრიცხოთ ექსპერტთა გარკვეულ წრეებში გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ იგი თითქოს გასაიდუმლოებულია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან საუბრისას ამ თემით სპეკულაციის საფუძველი ყველას უნდა მოვუსპოთ. გვჯერა, ჩვენს გულწრფელ დამოკიდებულებას ჩვენი ძმების ასეთივე განწყობა მოჰყვება. ეს კი კარგი საყრდენი იქნება მომავალი ურთიერთობებისათვის.

აქვე გაცნობებთ, რომ სახალხო დამცველის აპარატმა უკვე მოახდინა აღნიშნულ წერილზე რეაგირება და 26 თებერვალს 16:00 საათზე შედგება ბატონ უჩა ნანუაშვილის შეხვედრა „ქართულ-ოსური მისიის“ წარმომადგენლებთან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით“, — ნათქვამია აღნიშნული ორგანიზაციის განცხადებაში, რომელსაც ხელს ხელმძღვანელი, მწერალი რეზო ამაშუკელი აწერს.

მედიანიუსი

# გელა ნიკოლაიშვილი: „დონაძემ იცოდა, რომ სასამართლო გაათავისუფლებდა, ამიტომ ჩამოვიდა“

ნონა ცაბაძე

**ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით გავრცელებულმა ახალმა ვიდეომასალამ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს კადრები დამონტაჟებულია და ის რეალობას არ ასახავს.**

**„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო გელა, თქვენთვისაც ცნობილია თუ რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა ამ კადრების გამოჩენას. როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის, შეფასებები?***

— მე მირჩევნია, დღეს ეს ფაქტი შევაფასო, როგორც ჩვეულებრივმა რიგითმა მაყურებელმა და არა როგორც პროფესიონალმა და ადვოკატმა. მე გუშინ ძალიან გვიან მომიწია ტელევიზორთან და კომპიუტერთან მისვლა, თუმცა ინფორმაციას მთელი დღის მანძილზე რადიოს საშუალებით ვისმენდი და საღამოს ძალიან ყურადღებით დავაკვირდი ამ კადრებს. ვისაც აქვს იმის საშუალება, რომ ეს კადრები დაატრიალოს, როდესაც აცხადებენ, რომ ეს არ არის დამონტაჟებული და ეს არის უწყვეტი ციკლით გადაღებული, გეტყვით, რომ არაპროფესიონალი თვალითაც ძალიან მარტივი შესამჩნევია და გეტყვით, კერძოდ რა. როდესაც იწყება ეს ყველაფერი და აწვენენ ამ ახალგაზრდებს მანქანის მარცხენა მხარეს, მძღოლის მხარეს უკანა მხრიდან და თუ კარგად დააკვირდებით, შემდეგ კადრი გადადის საპირისპირო ანუ მარჯვენა მხარეს. თუ უწყვეტია კადრი, როგორ გადავიდა მარცხენა მხარიდან მარჯვენა მხარეს, ეს კადრში ხომ უნდა ჩანდეს? ამიტომ აქ ისეთი აშკარა ნიშანია მონტაჟის, რომ ამას არა თუ ექსპერტიზა, არამედ არაპროფესიონალური თვალი, მაგალითად, როგორიც მე ვარ, ისეთი ადამიანიც ადვილად დაადგენს და ადვილად მიხვდება. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ეს არის მორიგი პიარაქციისთვის გამიზნული, საკმაოდ არაკვალიფიციურად დაგეგმილი თაღლითობა იმ პიროვნებების მიერ, რომლებსაც უნდათ, რომ მშრალი გამოვიდნენ წყლიდან. კიდევ ერთი რამ, როდესაც დონაძე აცხადებს, რომ მე იქ მერე მივედი, იქ არ ვიყავიო, დონაძე ხაზავს ძირს დაგდებულ ავტომატს, წრეს უხაზავს, რატომ, რა ფუნქცია აქვს ამ შემთხვევაში? თუ ავტომატი აღმოაჩინეს მანქანაში და შემდეგ უკან საბარგულის თავზე დადეს, მერე რატომ ხაზავს დონაძე ძირს, რომ ვითომ იქ ეგდო თუ რატომ? რატომ უნდა იღებდეს პრესცენტრის უფროსი საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას? აი, მე ეს შეკითხვები გამიჩნდა და როდესაც ვუყურებდი სატელევიზიო პოლემიკებს, იგივე თინა ხიდაშელის და სხვების, სულ მეგონა, რომ ამ კითხვებს დასვამდნენ, მაგრამ ეს კითხვები არ დასმულა. ახლა მაინც, როდესაც ექნებათ საშუალება, შენელებული და შეჩერებული კადრებით ეს ყველაფერი მრავალჯერ ნახონ, აი რასაც მე ვამბობ, ამას დააკვირდნენ და ყველა მიხვდება, რომ ეს არის უბრალოდ მონტაჟი. როგორც ადვოკატს, თავის გამართლების მცდელობები ბევრი მინახავს და ბევრი მომისმენია, მაგრამ ვიმეორებ, დაკვირვებული თვალი შეამჩნევს ამ ყველა ნიუანსს.

***— როდესაც გურამ დონაძე ჩამოვიდა საქართველოში, ის საკმაოდ თამამ და ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა, როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული ჰქონდათ და არ იყო შემთხვევითი, როგორც დღეს აცხადებს დონაძე, რომ ამ კადრებმა ის შოკში ჩააგდო...***

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო, წინასწარ მოფიქრებული, სასამართლოსგან მიცემული გარანტიით, რომ ის აუცილებლად გირაოთი გათავისუფლდებოდა. მე უკვე აღარაფერს ვამბობ იმ ბანალურ კითხვაზე, რომელიც პირველ რიგში დაისვა და დღეს ყველა სვამს, რომ სად იყვნენ ამ 9 წლის განმავლობაში თუ ეს მართლა ასეთი დამადასტურებელია, რომ იარაღი მართლა არსებობდა და მონტაჟის ნიშნებს არ შეიცავს ეს მასალა, რატომ არ გამოაქვეყნეს აქამდე?!

***— ითქვა ისიც, ნაციონალები ახალ პროვოკაციას გეგმავდნენ, რომელიც ამ კადრების გავრცელებას უნდა მოჰყოლოდა, მათი სურვილი იყო, რომ გაღიზიანებულ ხალხს რუსთავი ორზე მიეტანა იერიში, თუმცა ეს არ გამოუვიდათო...***

— ვარაუდის დონეზე შეიძლება ეს ითქვას, თუმცა, მე არა ვარ ხოლმე მომხრე, რომ რაღაცა შეთქმულების თეორიები დაბეჯითებით ვამტკიცო. ვარაუდის დონეზე ეს შეიძლება ადამიანმა დაუშვას, მაგრამ მე ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ, რომ აი, ამაზე გათვლა და ამისი აგორება უნდოდათ, ისევე, როგორც ვერ დავიჯერებ, რომ 8 თებერვალს წინასწარ დაგეგმეს მათ ეს პროვოკაცია. ეს ყველაფერი სპონტანურად მოხდა, ასე შორსმჭვრეტელებიც არ არიან და ასე კვალიფიციურადაც ვერ გეგმავენ ხოლმე. მათ ახასიათებთ არა გონივრული დაგეგმვები, არამედ სიტუაციების საკუთარ სასარგებლოდ გამოყენება, ამაში არიან ძალიან ძლიერები, თორემ შორსმჭვრეტელურ და ორგანიზებულად დაგეგმვაში და შორსმიმავალ უპირატესობის მიღებაში ისინი ძლიერები რომ არ არიან, ეს გამოჩნდა თუნდაც წაგებული არჩევნების შედეგად. მათ ყველაფერი გააკეთეს და დარწმუნებულები იყვნენ მოგებაში, მაგრამ დამარცხდნენ. ლოკალურ მოგებებს კარგად ახერხებენ, მაგრამ შორსმჭრეტელობა არ აქვთ იმით, რომ ასე ფართომასშტაბიანი პროვოკაციები დაგეგმონ.



***— ბატონო გელა, რაც შეეხება თავად ფირცხალავას, ვინც ეს ვიდეომასალა გაავრცელა, ამ პიროვნების შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?***

— მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ის საკმაოდ ოდიოზური ფიგურაა, რომელიც ფიგურირებდა როგორც ვაზაგაშვილის საქმეში, ასევე ფიგურირებდა, სხვათა შორის, ბათო საღინაძესთან დაკავშირებულ საქმეში. მე ეს ვიცი იმიტომ, რომ საღინაძეს ვიცავდი და აქედან ვიცი ეს საქმე. ის შემჩნეული იყო დამნაშავეების მფარველობაში.

***— მისი მხრიდანაც ხომ არ არის თავის გადარჩენის მცდელობა?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს რაღაცა ორგანიზებულად დაგეგმილი იყო დონაძის, ფირცხალავას და სხვების მიერ. ბავშვიც არ დაიჯერებს იმას, რომ დონაძემ ეს არ იცოდა. რატომ მალავდნენ აქამდე? ამ გამოძიებას თუ არ ენდობოდა, საკუთარი ხელისუფლების გამოძიებას ხომ ენდობოდა, იქ რატომ არ წარადგინა?! თუ მართლაც დაუმონტაჟებელია და უწყვეტი ციკლით არის გადაღებული, წარედგინა თავის დროზე, რას უცდიდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ არის. თვალნათლივ ჩანს, რომ ეს არის მონტაჟი.

***— კბილაშვილის იმედი მაქვსო, თამამად აცხადებს დონაძე და თუკი დამტკიცდა, რომ ეს ფირი ყალბია, მაშინ?***

— ამ შემთხვევაში ის იტყვის, რომ მე მეგონა არ იყო ყალბიო. ან იტყვის, რომ არ ვენდობი ექსპერტიზას, რომელიც ამბობს ყალბიაო. ყალბი არ არის, მაგრამ ეს დადგმული სპექტაკლია. გადაღებულია როგორც რეალურად მომხდარი, მაგრამ ეს ხდება მას შემდეგ, რაც ბუტა რობაქიძე უკვე გარდაცვლილია და ეს სპექტაკლი იდგმება იმისათვის, რომ დაადასტურონ, რომ იქ იყო იარაღები. დღეს არსებობს იმის საშუალება, რომ დაადგინონ, ეს არის მონტაჟი თუ უწყვეტი კადრები.

***— ბატონო გელა, ერთი რამ ცხადია, რომ ნაციონალები კვლავ ახერხებენ საზოგადოების ნერვებზე თამაშს, ხალხის პროვოკაციაზე წამოგებას... უკვე ხშირია საყვედურები საზოგადოების მხრიდან, რომ ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან გაიწელაო... როგორ ახერხებენ ამ ყველაფერს უმცირესობაში მყოფი ნაციონალები?***

— ჯერ ერთი, თაღლითობის და საზოგადოების მანიპულირების თვალსაზრისით, საკმაოდ გამოცდილი, გაქნილი და ნიჭიერი ხალხია და ამას ვერ დაუკარგავთ, ეს შეუძლიათ მათ. მერე მეორეც, მათ აქვთ ამის ბერკეტები, საკუთარი ტელევიზია აქვთ, საკუთარი საინფორმაციო საშუალებები აქვთ, რასაც წლების მანძილზე მოკლებული იყო ოპოზიცია და რაც მთავარია, ისინი ჯერ კიდევ ნახევრად ხელისუფლებაში არიან. პრეზიდენტის ბერკეტები, სასამართლო ბერკეტები, მერიის ბერკეტები, თვითმმართველობითი ორგანოების ბერკეტები, ეს ყველაფერი კვლავ მათ ხელშია. დამერწმუნეთ, მათი გაქნილობის და ნიჭიერობის მიუხედავად, ისინი კლასიკურ ოპოზიციაში რომ იყვნენ და მათ არანაირი სახელისუფლო ბერკეტები არ ჰქონდეთ, ისინი აორთქლდებიან, როგორც შარშანდელი თოვლი და ვერანაირ წარმატებებს ვერ მიაღწევენ. დაახლოებით ისეთ მდგომარეობაში იქნებიან, რა მდგომარეობაშიც, სამწუხაროდ, დღეს არის ნათელაშვილი და მისი პარტია. ხშირ შემთხვევაში შეიძლება სიმართლეს ამბობს ნათელაშვილი, მაგრამ მის მიმართ ნდობა არის ნული თუ არა ერთი პროცენტი. დაახლოებით ამ მდგომარეობაში იქნებიან მომავალში ნაციონალები, როდესაც მათ აღარ ექნებათ სახელისუფლებო ბერკეტები. დღესაც ვხედავთ, ყოველდღე თითო ადამიანი აკლდებათ საკრებულოში თუ პარლამენტში და მერე, მით უმეტეს, როდესაც ველარ დააკავებენ, მათ მხარდამჭერები აღარ შემორჩებათ. ისინი აკავებდნენ შიშით და პირადი ინტერესებით. შიში ნელ-ნელა ქრება იმიტომ, რომ აღარა აქვთ იმის ძალა, რომ ისინი დასაჯონ, წაართვან ან გააკულაკონ და მოსყიდვის და ფულის გადახდის საშუალებებიც ნელ-ნელა ხელში ელევათ. ჯერჯერობით აქვთ და ამიტომ ახერხებენ. ამიტომ ჩქარობენ და ამიტომ ასწრებენ, რომ იქნებ რაღაცა შეცვალონ შემოდგომამდე თავიანთ სასარგებლოდ.

***— საუბარია, რომ გაზაფხულზე კიდევ უფრო გაამწვავებენ ვითარებასო... რამდენად მოახერხებენ ამ ყველაფერს?***

— რა თქმა უნდა, მცდელობა ექნებათ, მაგრამ რომ მოახერხებენ, ეს არ მჯერა, იმიტომ, რომ ხალხი მათ მიმართ განწყობილია ანტაგონისტურად და ბიოლოგიური ზიზღის მომენტი შეექმნა ხალხს იმ ვითარების გამო, რომელიც მათ 9 წლიანი მმართველობის მანძილზე დაამკვიდრეს. ასეთ პირობებში შეიძლება უკმაყოფილების გაღვივება შეძლონ, რომ უფრო მეტი უკმაყოფილო ჰყავდეს დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ ის, რომ ეს ხალხი გახდეს მათი მომხრეები და ინატრონ ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნება, ასეთი ადამიანების რაოდენობა არ მოიმატებს. ხოლო ის ხუთი პროცენტი, რომელიც მათ მხარდამჭერების სახით შემორჩათ, ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ვერ შეცვლიან.

***— ითქვა ისიც, რომ მათ მოსაცილებლად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდესო...***

— კი, მაგრამ ამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაც და მისი ბერკეტებიც პრეზიდენტის ხელშია. მხოლოდ მან უნდა დანიშნოს და მან ძალიან კარგად იცის, რომ თუ დანიშნავს ასეთ არჩევნებს, მაშინ 40% კი არა 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა ექნება მის პარტიას, ამიტომ არ დანიშნავს, თორემ, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ასეთი არჩევნები, რომ რეალური სიტუაცია დაფიქსირებულიყო, ძალთა განლაგება პარლამენტში, ანუ არა 60/40-ზე, არამედ რეალურად 70/5-ზე და ის დანარჩენი 25% გადაენაწილებინა ნამდვილ ოპოზიციას. რამდენიმე ოპოზიციური პარტია ნამდვილად არსებობს, რომელიც 5%-იან ბარიერს გადალახავს.

***— მაშინ გამოდის, რომ სააკაშვილის ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა იფიქროს ამაზე ქართულმა ოცნებამ?***

— არა, სააკაშვილი რომ პრეზიდენტი აღარ იქნება, მერე უკვე ეს საფრთხეებიც აღარ იარსებებს. უკვე 30%-მდეა დასული პარლამენტში ნაციონალების რაოდენობა და ალბათ სააკაშვილის წასვლის შემდეგ 15%-მდე დავა და ამის შემდეგ ისინი საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენენ ხელისუფლებისთვის. ჯანსაღი და ოპოზიციური ძალები უნდა გამოიკვეთოს. რა თქმა უნდა, ჯანსაღი ოპოზიცია სჭირდება ქართულ ოცნებას, უამრავ შეცდომას უშვებენ ისინი, მაგრამ როდესაც მეორე მხარეს ოპოზიციონერად დგას ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ალერგიას იწვევს ხალხში, ძალაუნებურად ისინი ქართულ ოცნებას ვერ უპირისპირდებიან, რომ ნაციონალების წისქვილზე არ დაასხან წყალი. თუ რეალური ოპოზიცია იქნება მეორე მხარეს, მაშინ საკმაოდ დაბალანსებულად განვითარდება პროცესები. რეალურმა ოპოზიციამ უნდა დაიკავოს ის ნიშა, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად იკავებს დღეს ნაციონალური მოძრაობა.

## ს.ს. „ქართული ფოლადის“ დირექტორის განცხადება

დიდხნიანი იძულებითი შესვენების შემდეგ საშუალება მომეცა ისევ ს.ს. „ქართული ფოლადის“ სახელით ვისაუბრო. ეს სამართლიანობის აღდგენის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია.

მივმართავ საზოგადოებას, დაინტრესებულ ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს: ჩემს გარდა, სხვა, ნებისმიერი პირის მიერ ს.ს. „ქართული ფოლადის“ დირექტორის სახელით განხორციელებული ქმედება უკანონოა!

2011 წლის 6 ივლისიდან დღემდე ს.ს. „ქართული ფოლადის“ მენეჯმენტის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები დღეს სასამართლოს განხილვის საგანია. წინა ხელისუფლების ტოტალური და სამხედრო მხარდაჭერით მათ შეძლეს და ამ კომპანიის აქტივები შპს "რუსთავის ფოლადს" გადასცეს.

**გაცნობებთ ყველას: შპს „რუსთავის ფოლადი“ და მისი მესვეურები ძალის გამოყენებით, საბუთების ფალსიფიცირებით, სხადასხვა მაქინაციური სქემებით დაეპატრონენ სხვის ქონებას და დღეს უკანონოდ ფლობენ ს.ს. „ქართული ფოლადისა“ და ს.ს. „თუჯი XXI“ის აქტივებს! ნებიმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ ამ განცხადების უგულვებელყოფა, მათთვისვე იქნება საზიანო, რადგან სამართლიანობის აღდგენის შემდეგ ჩვენ არ ვაპირებთ უკანონობის ჩამდენი ჯგუფის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას!**

**ს.ს. „ქართული ფოლადის“ მფლობელი და მენეჯმენტი, რთულ პირობებში შეუძლებელს ახერხებდა, წარმოება ერთი წუთით არ შეჩერებულა, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიუხედავად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ოცი წლის შემდეგ პირველი ფოლადი ჩამოისხა! წარმოება ვითარდებოდა და ახალი ტექნოლოგიები ინერგებოდა. უმთავრესი კი ხარისხი იყო, „ქართული ფოლადი“ ბრენდად იქცა არამარტო ამიერკავკასიაში არამედ მსოფლიო მასშტაბით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აქაც სავალალო მდგომარეობაა შექმნილი: გადაუხდელი გადასახადები, რეკლამაციები, ჯარიმები, უკან დაბრუნებული პროდუქცია და შელახული ავტორიტეტი...**

**ამასაც ეშველება, დიდი ძალისხმევის შემდეგ ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგება, რადგან მე კარგად ვიცი როგორი ადამიანები მუშაობენ ამ ქარხანაში.**

**მოგმართავთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყველა თანამშრომელს!**

**თითეული თქვენგანი კარგად მიცნობს, ერთად ბევრი რამ გამოვიარეთ და შეუძლებელი შევძელით! მადლობა თანადგომისათვის რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი! გაუფრთხილდით ჩვენს საერთო მონაპოვარს, შეეცადეთ აღკვეთოთ ვანდალიზმის ნებისმიერი გამოვლინება, არავის დააზიანებინოთ და გააპარტახებინოთ ძველი და უნიკალური რაც გადავარჩინეთ და ახალი – რაც ერთად შევქმენით. ჩვენ ერთად კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ! რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, კვლავაც მეტალურგიული მრეწველობის ლიდერი იქნება კავკასიაში!**

ს.ს. „ქართული ფოლადის“ დირექტორი
**ნათია ჯაყელი**

## ირაკლი ღარიბაშვილი ბარბარე რაფალიანცის ოჯახის წევრებს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ, სამინისტროში, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში გარდაცვლილი 10 თვის ბარბარე რაფალიანცის ოჯახის წევრებს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის დროს, მინისტრმა ჩვილის გარდაცვალების საქმეზე ისაუბრა და მათ გამოძიების მიმდინარეობის დეტალები გააცნო.

ირაკლი ღარიბაშვილმა ჩვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოჯახის წევრების ვერსიებიც მოისმინა.

შეგახსენებთ, რომ 10 თვის ბარბარე რაფალიანცი, სამართალდამცავებმა, 2012 წლის 30 სექტემბერს,სოფელ კოლაგში გარდაცვლილი იპოვეს.

ბავშვის ცხედარს, საძინებელი ოთახის გვერდით მდებარე მარანში, წყლით ნახევრადსავსე ქვევრში მიაგნეს. **ნიუსპრესი**

# „ხომალდის ვირთხების“ პრობლემა ქართულ პოლიტიკაში



საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ქართულ პოლიტიკაში მუდმივად იდგა და დღესაც დგას ე.წ. „ხომალდის ვირთხების“ პრობლემა და სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოხსნა-მოგვარებას, როგორც ჩანს კიდევ კარგა ხანს არ დაადგება საშველი.

როგორც ცნობილია, საზღვაო ხომალდზე მყოფი ვირთხები, მოსალოდნელ შტორმს და კატასტროფას ყველაზე ადრე გრძნობენ და ყველანაირად ცდილობენ ხომალდი დატოვონ.

უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, ეს, ღია ზღვაში ვირთხების დაღუპვით მთავრდება.

სწორედ ესაა ერთადერთი განსხვავება „ხომალდის ვირთხებსა“ და ქართული პოლიტიკის ვირთხებს შორის. ანუ თუ ხომალდის ვირთხების მიერ ხომალდის დატოვება პრაქტიკულად, მათ უცილობელ სიკვდილს უდრის, ქართული პოლიტიკის ვირთხებს, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში მეორე (ზოგს კი მესამე და მეოთხე) სუნთქვა ეხსნებათ და ახალი ცხოვრების დაწყების პირობით, ძველ ცხოვრებას ივიწყებენ.

ამ შემთხვევაში კი, ყველაზე სასაცილოდ ის საზოგადოება გამოიყურება, რომლის მეხსიერებასაც, როგორც უკანასკნელი წლების პრაქტიკამ დაგვანახა, ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს.

საქართველოს უახლესი ისტორიის მცირე ექსკურსიც რომ გავაკეთოთ და მეხსიერებას ოდნავ ძალა დავატანოთ, პოლიტიკური ვირთხობის მაგალითებს უამრავს აღმოვაჩენთ, ხოლო ამ მაგალითების პერსონაჟთა დიდი ნაწილი, ახალი მანტიით „მოღვაწეობას“ დღესაც აგრძელებს ან აღნიშნული მანტიის მორგებას დიდი მონდომებით ცდილობს.

ალბათ ყველას კარგად ახსოვს, რომ კომუნისტური საქართველოს პოლიტელიტის დიდმა ნაწილმა, როგორც კი საბჭოთა კავშირის აღსასრულის მოახლოება იგრძნო, მაშინვე ეროვნული მოღვაწის ნიღაბი მოირგო და წლების განმავლობაში განვითარებული მძაფრი ყნოსვის უნარის დახმარებით, ზვიად გამსახურდიასთან მისასვლელი გზების ძებნა დაიწყო, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, მათთვის არც ზვიად გამსახურდია აღმოჩნდა „მისაღები,“ რადგან საქართველოს პოლიტიკურ ავანსცენაზე, მსოფლიო პოლიტიკის მაშინდელი საზომებით, უზარმაზარი ფიგურა – ედუარდ შევარდნაძე გამოჩნდა.

რა თქმა უნდა ვირთხათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ისევე დაივიწყა ზვიად გამსახურდია, როგორც ზვიად გამსახურდიას დროს თავიანთი კომუნისტური წარსული დაივიწყეს და თავშესაფრის ძებნა ახალი პატრონის – ედუარდ შევარდნაძის კალთის ქვეშ დაიწყეს.

2003 წელს კი, სწორედ ის ვირთხები, ვინც შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებას სთხოვდა, პირველები გადახტნენ მისი ხომალდიდან და ყელზე მორჩილების საბელით, მიხეილ სააკაშვილთან მიხოხდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის მიხეილ სააკაშვილს გარშემო უკვე ჰყავდა მედროვეთა საკმაოდ დიდი არმია, რასაც წინა ხელისუფლების დროინდელი მედროვეებიც დაემატნენ.

დღეს კი, სწორედ ეს ვირთხები, რიგრიგობით ტოვებენ „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებს და თავზე ნაცარწაყრილები, ახალ ხელისუფლებასთან მისასვლელ გზებს ყნოსავენ.

უბედურება კი ისაა, რომ მათ ეს როგორც ადრე, დღესაც წარმატებით გამოსდით, ხოლო საზოგადოება კვლავ მზადაა ყველას ყველაფერი აპატიოს, თუ ვინმე თუნდაც ნიანგის ცრემლს გადმოაგდებს თავის წარსულთან დაკავშირებით. უფრო დიდი უბედურება და საფრთხე კი ისაა, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან არის ნიშნები, ასეთ ვირთხებს ნდობა გამოუცხადოს.

არ შეიძლება ენდო ადამიანს, რომელიც საქართველოს ისტორიის ამ სამარცხვინო 9 წლიანი პერიოდის დროს, მიხეილ სააკაშვილის ყურმოჭრილი მონა იყო და პროტესტის გრძნობა ერთხელაც არ გასჩენია იმის გამო, რასაც მათი ბელადი სჩადიოდა.

არ შეიძლება ენდო ადამიანს, რომელიც მიშა სააკაშვილს რუსთაველზე გამართულ კონცერტზე ტაშს უკრავდა სწორედ მაშინ, როცა ცხინვალის რეგიონში, ჩვენი ვაჟკაცი ბიჭების გვამებს სიცხისგან სუნი ასდიოდა.

არ შეიძლება ენდო ადამიანს, რომელმაც ნახა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია 2011 წლის 26 მაისს და ამის შემდეგ კვლავ სააკაშვილის მონად დარჩენა ისურვა.

არ შეიძლება ენდო ადამიანს, რომელიც, რომ არა ძირეული ცვლილებები ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში,– დღესაც მიშას მეხოტბნე იქნებოდა და მისი ტუფლების ლოკვას წარმატებით გააგრძელებდა.

არ შეიძლება ენდო ადამიანს, რომლის პრინციპებიც მარტო ჯიბეზე და მუცელზე გადის.

ის რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დაიშალოს, ისტორიული კანონზომიერებაა და ეს ასე მოხდება კიდეც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ პირთა მყისიერი რეაბილიტაცია, ვინც თავისი ქმედებებით, 9 წლის განმავლობაში იმ სიმახინჯეს ამაგრებდა, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ერქვა და რომელმაც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობა ლამის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ამ ფონზე, პოლიტიკურ ვირთხებთან შედარებით, საზოგადოების თვალში გაცილებით უფრო პოზიტიურად გამოიყურებიან ადამიანები, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ დღემდე, პრინციპების გამო, უანგაროდ ერთგულობენ.

მართალია, რომ ყოფილი მმართველი პარტია, ისეთი დედაკაცების იმედზეღა დარჩა, რომლის ჩანაწერებიც სოციალურ ქსელებზე გავრცელდა და რომლის ფორმულითაც „ჩიჩინი ჭრის“, მაგრამ ის ქალიც კი, საზოგადოების თვალში, თუნდაც თავისი ინტელექტუალური და მორალური რესურსის გათვალისწინებით, გაცილებით მეტ სიმპათიას იმსახურებს, ვიდრე ის პოლიტიკური ვირთხები, რომლებიც ნაციონალური ნავიდან გადმოსკუპდნენ და ახალი ხელისუფლების მატარებელზე შეხტომას ცდილობენ.

მათ რიცხვში არიან არა მარტო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, არამედ ის მოპარტიო წარმონაქმნებიც, რომლებიც სააკაშვილის სუფრის ნამცეცებით ივებბოდნენ და რომელთა რეიტინგზეც, „ნაციონალური მოძრაობა“ ისევე ზრუნავდა, როგორც საკუთარზე.

დღეს ამ პარტიების ხელმძღვანელ პირთა უმრავლესობა მიხეილ სააკაშვილს გააფრთებით აკრიტიკებს და ყველანაირად ცდილობს ხალხს თავისი წარსული გადააავიწყოს, რათა ქართული პოლიტიკური მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნების შანსი დარჩეს.

ისინი გაცილებით საშიში ვირთხები არიან, ვიდრე ის ყოფილი ნაციონალები, ვინც თავის პარტიულ კუთვნილებას რამდენიმე თვის წინ ღიად აფიქსირებდა.

ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ არა ხელისუფლების ცვლილება და ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემოსვლა, დღეს ეს ელემენტები გარკვეული ქვოტით კვლავ პარლამენტში იქნებოდნენ წამოსკუპებულები და ისევე წარმატებით გააგრძელებდნენ ოპოზიციონერობანას თამაშს, როგორც ამას წლების განმავლობაში ახერხებდნენ.

შესაძლოა, რომ ახალ ხელისუფლებას, მოცემულ ეტაპზე გარკვეულ ინსტიტუციებში, ასეთი ადამიანები სჭირდება და მათ სავარაუდოდ წარმატებით გამოიყენებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მათი ნდობა არ შეიძლება, ვინაიდან მონად დაბადებულს არწივობას ვერ მოსთხოვ.

ზოგადად კი, ის, რომ „ხომალდის ვირთხების“ რაოდენობა საქართველოში საკმაოდ დიდია, ისევ და ისევ საზოგადოების და მისი მეხსიერების დამსახურებაა, ხოლო სანამ საზოგადოება პოლიტიკური ამნეზიისგან არ განიკურნება, ხომალდიდან ხომალდში გადახტომას, ვირთხები ყოველთვის მოახერხებენ, რადგან მათ ამის ძალიან დიდი გამოცდილება დაუგროვდათ.

**ალეკო ჩუბინიძე, სააგენტო „ნიუსპრესი“**

# იური ვაზაგაშვილი ახალი ხელისუფლებისგან ირაკლი ფირცხალავას დაკავებას ითხოვს



2006 წელს თბილისში, კორტებთან განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის მამის, იური ვაზაგაშვილის განცხადებით, დიდუბე-ჩიღურეთის პოლიციის ყოფილ უფროსს ირაკლი ფირცხალავას თუ არ დააკავებენ, მაშინ საზოგადოება იმოქმედებს.

როგორც გუშინ ტელეკომპანია ,,მაესტროს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, დღეს ფირცხალავა პროკურატურაშია დაკითხვაზე დაბარებული და თუ კიდევ გამოუშვეს, მაშინ ყოჩაღ, მათ ვაჟკაცობას.

,,მერე საზოგადოება ვიმოქმედებთ და ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ. ირაკლი ფირცხალავა ქილერად არის აღიარებული. მას ჰყავს დაყაჩაღებული ხალხი, წართმეული აქვს ქონება. მას ნათესავებზე, დეიდებზე, დეიდაშვილებზე აქვს გადაფორმებული სერიოზული კაპიტალი, მეტრო „დელისთან“ სუპერმარკეტი დეიდამისის სახელზე აქვს გადაფორმებული, ნათესავებზე ბინები, აგარაკები, მანქანები და ეს არის ხალხისთვის წართმეული. ასევე, როდესაც ერთ– ერთი ბანკის დაყაჩაღება მოხდა, თავად მიაგნეს, დამალეს ეს ფაქტი და მეორე დღეს ფირცხალავამ „ტოიოტას ცენტრში“ მის ცოლს უყიდა ავტომანქანა“, – განაცხადა ვაზაგაშვილმა.

იური ვაზაგაშვილი აცხადებს, რომ ირაკლი ფირცხალავა არის მკვლელი და არა მარტო მისი შვილის, ზურა ვაზაგაშვილის საქმეში, არამედ სხვა საქმეების თანამონაწილეცაა.

„მკვლელი რომაა, ამას ვამტკიცებ, ყაჩაღი რომაა, ამასაც დავამტკიცებ“,-

განაცხადა ვაზაგაშვილმა. ვაზაგაშვილი ახალი ხელისუფლებისგან მათ დასაკავებლად სასწრაფოდ ზომების მიღებას ითხოვს. „როგორ მინდა შემახედა ფირცხალავასთვის და შევეკითხო, ის განცხადება რომ გააკეთა, რომ 21 წლის ბიჭი მყავსო, ის ბიჭი რომ ეგრე მოუსვენონ, როგორც ბუტა, სანდრო, ზურა, ერთი მაინტერესებს, უბრალოდ წარმოუდგენია ეს რამხელა ტკივილია?! როგორ ესვრის სხვის შვილებს?!. ეს არის არაკაცი და სასწრაფოდ არის დასაკავებელი“, – დასძინა ვაზაგაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ირმა სტეფნაძე სამსახურიდან გათავისუფლებას აპროტესტებს

„საქართველოს რკინიგზის“ მგზავრთა გადაყვანისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ირმა სტეფნაძე კომპანიის ახალ ხელმძღვანელობას სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ადანაშაულებს.

როგორც მან გუშინ პრაიმტაიმის პრესკლუბში პრესკონფერენციაზე განაცხადა, გუშინ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მისი შტატი გაუქმდა, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პრესსამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაჩი ცაგურია დაინიშნა.

„მე მაინტერესებს, რა ნიშნით მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება? მივმართავ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას, შეისწავლონ ჩემი საქმე“, – განაცხადა მან.

**მედიანიუსი**

# ნუგზარ წიკლაური: „პროკურატურა „ქართული ოცნების“ ტყუილებისა და სიცრუის მანქანად გადაიქცა“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, დღეს სასამართლოს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა, რადგან ყველა კარგად ხედავს, რომ აღარ არსებობს პროკურატურა.

წიკლაურის განცხადებით, თენგიზ გუნავასა და გუშინწინ გავრცელებული კადრები, რომელზეც ყველა პოლიციელი ცრუ ჩვენებას აძლევს, მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში პროკურატურა აღარ არსებობს.

„პროკურატურა გადაიქცა „ქართული ოცნების“ ტყუილებისა და სიცრუის მანქანად. დღეს არის უმძიმესი ვითარება ქვეყანაში, რადგან ყველას ყურადღება მიპყრობილია სამართლიანი სასამართლოსკენ იმიტომ, რომ ის არის პრაქტიკულად ნულის ტოლფასი“, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

შეგახსენებთ, რომ ის დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ბაჩო ახალაიას და სხვა ბრალდებული პირების წინა სასამართლო სხდომას ესწრებოდა.

**მედიანიუსი**

# „ყველაზე საცოდავი ადამიანები“

**როლანდ ხოჯანაშვილი**

**„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო**

საქართველოში რამდენიმე ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, ფსიქიატრიული საავადმყოფო და კლინიკაა, მათ შორისაა ასათიანის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკა, თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, შპს აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (სტაციონარულ-დისპანსერული მომსახურებით–ხელმძღვანელი გოჩა ბაკურაძე (გენერალური დირექტორი), შპს ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო (სტაციონარული მომსახურებით–წალკის მუნიციპალიტეტი), ხელვაჩაურში, დაბა კახაბერის რესპუბლიკური კლინიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფო, სურამში მდებარე ა. ქაჯაიას სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო.

არაერთხელ დაწერილა იმის შესახებ, რომ საქართველოში მოქმედი ამ ტიპის დაწესებულებებში არ არის ყველაფერი წესრიგში. ,,ახალ თაობას“ დაუკავშირდა ერთ-ერთი ფსიქიატრიულად დაავადებული მამაკაცის და (რომლის სახელსაც შეგნებულად არ ვასახელებთ) და გვამცნო ხონის მუნიციპალიტეტში მდებარე ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არსებული სიტუაციის შესახებ. მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გაწვდით სრულად და ცვლილებების გარეშე:

,,ბატონო როლანდ, როგორ მოგმართოთ, არც კი ვიცი. ჩემი ძმა 12 წელია, რაც ავად არის. რის გამო ან რატომ დაემართა ეს ფსიქიური დაავადება, არ ვიცით. ხშირად გვიხდება მისი მოთავსება ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ქუთაისშიც არის ფსქიატრიული დისპანსერი.კეთილმოწყობილიც არის, მაგრამ იქ ნებაყოფლობით ჩერდებიან ავადმყოფები, ჩემი ძმა არ ჩერდება იქ დიდი ხნით. ხონში კი მის ნებაზე დარჩენა არ ხდება, იქედან ვერ მოდის თუ პატრონმა არ მიაკითხა. მეც და ჩემი მეორე ძმა თანახმა ვიქნებით იქ სამუდამოდ დავტოვოთ ჩემი ავადმყოფი ძმა, მაგრამ საავადმყოფოში არის ცუდი პირობები. სიბინძურე და ტანსაცმლის ტილები ჭამენ ავადმყოფებს. იქედან ავადმყოფი ისევ ისეთ მდგომარეობაში გამოდის, როგორიც შედის. ჩვენ სახლში ვმსჯელობდით,პირობები რომ გაუმჯობესდეს და ფასიანიც რომ გახდეს, დავტოვებდით იქ სამუდამოდ იმიტომ, რომ გვიჭირს მისი მოვლა. აგრესიული და საშიშია საზოგადოებისთვის, როცა აგზნებულია. ახლა სოფელშია მამასთან ერთად. მამა თითქმის ბრმაა და მისი მოვლა არც მას არ შეუძლია. დარწმუნებული ვარ ასეთ მდგომარეობაში ბევრი ოჯახია, ვისაც ასეთი ავადმყოფი ჰყავს სახლში. უბრალოდ, მინდა რომ რაღაცით ყურადღება მიაქციონ ასეთ ავადმყოფებს, ისინი ყველაზე საცოდავი ადამიანები არიან“.

აქ აღწერილი ცენტრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დასაზუსტებლად ვეცადე ადმინისტრაციასთან დაკავშირება, მაგრამ მითითებულ ნომერზე არავინ პასუხობდა. ამის შემდეგ გადავწყვიტე ცენტრის ვებგვერდზე მომეძია ინფორმაცია, მათ შორის სიახლეების ჩანართში, თუმცა ყველაზე ბოლო ,,სიახლე“ გასული წლის 27 დეკემბრის საახალწლო ზეიმია მითითებული:

,,ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა დამდეგი 2013 წელი საახალწლო ზეიმით აღნიშნა. სადღესასწაულო განწყობა კიდევ უფრო დაამშვენა ხონის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,იმერი,,(ხელმძღვანელი ლია ბალავაძე) და ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,იმედი,,(ქორეოგრაფი აკაკი ფუტკარაძე) მათ საახალწლო პროგრამა ცენტრის ბენეფიციარებთან ერთად საზოგადოებას წარუდგინეს. ტრადიციები გრძელდება და 2013 წლისათვის ეროვნული ცენტრის მთავარ პრიორიტეტად ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება,მომსახურების სერვისის ეფექტურობა და ხელსაყრელი გარემოს შექმნა ითვლება. ხელსაყრელ გარემოში კი ცხადია, ბენეფიციართა საყოველთაო კულტურულ-რეკრეაციული ტიპის ღონისძიებათა ხშირი მართვა-დაგეგმვაც შედის.

ზეიმი,რომელიც ეროვნულ ცენტრში 27 დეკემბერს შედგა, ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ნამდვილი დღესასწაული იყო.“

იმედია, რომ ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან ფსიქიატრიული დაწესებულებების მდგომარეობით. აღარავის ესწავლება, რომ დედამიწაზე ზედმეტი ადამიანი არ არსებობს. როგორც ამ ცენტრის ვებგვერდიდან ხდება ცნობილი, ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას ამჟამად გადის 450-მდე პაციენტი, აქედან არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას 220-მდე პაციენტი იღებს. ორგანიზაცია დაფინანსება ხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ. ერთ-ერთი პაციენტის ოჯახის წევრის ცნობით კი ამ დაწესებულებაში არ არის ის პირობები, რომელიც აუცილებელია პაციენტებისათვის. თან ამ ცენტრის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. სახელმწიფო კი ყველა ადამიანისათვის მისი საჭიროებიდან გამომდინარე უნდა ზრუნავდეს, როცა პაციენტს ტილი და სიბინძურე აწუხებს, ასეთ დროს ზრუნვის ხარისხზე აღარ უნდა ვისაუბროთ და პრობლემა სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

# რა პრობლემები აქვთ ნარკომან ქალებს

მერი ნამორაძე

დაინტერესებულა ვინმე ნარკომომხმარებელი ქალების ბედით თუ ყოველდღიურობით? ამის საშუალება ფართო საზოგადოებას გუშინ ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონმა“ და კრეატიულმა სტუდია „იდეალისტმა“ მისცა. ნარკომომხმარებელ ქალთა ცხოვრებაზე გამოფენა „შედი ჩემს მდგომარეობაში“ საგამოფენო დარბაზის ნაცვლად სახლში, ოთხი ნარკომომხმარებელი ქალის ოთხ ოთახში გაიმართა, რომელიც მსურველებს ამ ქალბატონების სამყაროში ცალი თვალით შეხედვის საშუალებას აძლევდა. გამოიფინა ქალბატონთა მიერ გადაღებული ფოტოები, ნივთები და დამთვალიერებელს მათ შინაგან სამყაროში ჩახედვის შესაძლებლობა მიეცათ. პროექტის მხარდამჭერები არიან ფონდი „ღია საზოგადოება –საქართველო“ და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი.



გამოფენის გახსნას წინ უძღოდა ბრიფინგი ჟურნალისტებისათვის ნარკომომხმარებელი ქალების მდგომარეობის შესახებ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველოში ნარკომომხმარებელთა შორის ქალების წილი დაახლოებით 10%-ს შეადგენს. როგორც ზიანის შემცირების ქსელის მედიაკოორდინატორმა, მარინე ასათიანმა აღნიშნა, ხალხის აზრის უკიდურესი ნეგატიურობის გამო, სუსტი სქესის ნარკომომხმარებლები საზოგადოებაში არ ჩანან, არ მონაწილეობენ პროფილაქტიკურ პროგრამებში, არ აკითხავენ ჯანდაცვის სისტემას, მუდმივად არიან სექსუალური, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ქვეშ. აუცილებელია საზოგადოების ტოლერანტობა გაიზარდოს ამ საკითხისადმი.

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ნინო ჯანაშიამ, ზუგდიდში მუშაობის შედეგები წარმოადგინა და აღნიშნა, რომ პრობლემა – ქალი და ნარკოდამოკიდებულება თუ სერვისები და მათი ხელმისაწვდომობა, ძალზე აქტუალურია. საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება სწორედ პრობლემის მოუგვარებლობის ძირითადი მიზეზია.

2008 წელს საქართველოში ამოქმედდა ორი სამოდელო პროექტი – ქალი ნარკომომხმარებლებისთვის გორსა და ზუგდიდში. ზუგდიდის პროექტს თავად ნარკოდამოკიდებულმა ქალებმა „ხიდები“ უწოდეს, ამაში ისინი ხიდს ქალსა და საზოგადოებას შორის, თუ ხიდს ქალსა და სერვისებს შორის მოიაზრებდნენ.

– ეს შუამავლის როლი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. ვაღიარებთ, რომ ადამიანს თვითგაგების, საკუთარ თავზე წარმოდგენის საბაზისო პოზიციების და ქცევების შეცვლის უზარმაზარი შინაგანი რესურსი გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოდამოკიდებულება და მოხმარება განიხილება, როგორც ქრონიკული პრობლემა, ფსიქოლოგიური თანადგომის რესურსები შეიძლება გააქტიურდეს. ამდენად, მათთვის ჩვენთან ურთიერთობისას ყველაზე მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო სივრცის ორგანიზება, ურთიერთობა განკითხვის გარეშე. ვისმენთ მათ ისტორიებს, მათ სირთულეებს, ვცდილობთ გავიგოთ, რა რისკების წინაშე დგანან ისინი, ვცდილობთ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და დაუბრუნდნენ სოციალურ გარემოს, – აღნიშნა ჯანაშიამ.

მაინც რა სერვისებით ხდება მიმზიდველი ქალი ნარკომომხმარებლებისათვის „ქსენონი“. ეს არის უფასო და ანონიმური გამოკვლევები აივ ინფექციაზე, ვირუსულ ჰეპატიტებზე, სიფილისზე, სატელეფონო კონსულტირება, ჰიგიენური საშუალებებით და სტერილური საინექციო ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სამედიცინო, იურიდიული, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ტრენინგები ჯანმრთელობისა და იურიდიულ საკითხებზე, თვითდახმარების და მხარდაჭერის ჯგუფები. მიმზიდველია მუშაობის პრინციპი – ქალები ქალებს. ის, რომ ცენტრში მათ ქალები ემსახურებიან, კიდევ ერთი დადებითი მომენტია ნდობის მოსაპოვებლად.

მაინც რა პრობლემების წინაშე დგანან ქალი ნარკომომხმარებლები? როგორც აღინიშნა, ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია სოციალური სტიგმა, მკაცრი და რეპრესიული ნარკოპოლიტიკა. ძალადობა როგორც საკუთარი ოჯახის წევრების მხრიდან, ასევე საზოგადოების მხრიდან. ისინი საზოგადოების მხრიდან გარიყულობასა და სტიგმას ძალადობად განიხილავენ. აქტუალურია მათი თურქეთში მიგრაცია, რადგან სამსახურის თუ ნარკოტიკის შოვნა იქ გაცილებით იოლია. თუმცა, იმავდროულად შიდსისა და ჰეპატიტების გავრცელების ცხელ ზონად მიიჩნევა, რადგან ერთჯერადი საინექციო საშუალებების შოვნის დეფიციტია. ქალთა პროექტების განხორციელებამდე „ქსენონი“ ახორციელებდა ზიანის შემცირების პროგრამას ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის. სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 1000 ბენეფიციარიდან მხოლოდ ორი იყო ნარკომომხმარებელი. ერთ-ერთი უკუკავშირი ამ ციფრშიც არის გამოხატული – 2008 წლიდან დღემდე, პროექტით „ხიდები“ 110-ზე მეტმა ნარკომომხმარებელმა ქალმა ისარგებლა.

ბენეფიციარები რეპროდუქციული ასაკის ქალბატონები არიან, რომლებსაც აქვთ ოჯახი, ან ჰყავთ სექსუალური პარტნიორი. უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრების ძალადობის მსხვერპლია. უმეტეს შემთხვევაში ნარკოტიკის მოხმარების დებიუტი სექსუალურმა პარტნიორმა განსაზღვრა.

გორში განხორციელებული ზიანის შემცირების სამოდელო პროექტის შედეგები ბრიფინგზე კავშირ „ნაბიჯი მომავლისაკენ“ წარმომადგენელმა, ქეთევან ბიძინაშვილმა წარმოადგინა. მისი თქმით, იგივე სერვისების შეთავაზება ხდებოდა ქალი ნარკომომხმარებლებისთვის, როგორიც ზუგდიდში. ამნისტიის შემდეგ ბევრი ის პირი გათავისუფლდა, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებაზე იყო მსჯავრდებული. მათ შორის ბევრი ქალია, რომელმაც ბენეფიციართა ახალი ტალღა შეავსო. ორგანიზაციას გარკვეული ადაპტირებაც კი უწევს, რათა მოზღვავებულ კლიენტებს დაეხმაროს.

– ასეთი დიდი რაოდენობით ნარკოტიკის მომხმარებელი კლიენტი დიდი ხანია ჩვენ არ გვყოლია – შეიძლება ითქვას, 2005 წლის შემდეგ. დღის განმავლობაში შემოდის 30-40 ადამიანი, რომელიც ისევ დაუბრუნდა ნარკოტიკების მოხმარებას და გარეთ დახვდა ისეთი მძიმე ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც ჰქვია „ნიანგი“. ჩემთვის ეს ფორსმაჟორული სიტუაციაა, რადგან ეს რომ რეგიონალურ ორგანიზაციაში – გორში ხდება, რა პრობლემები შეიძლება იყოს თბილისში, როცა ბევრი ამნისტირებული ადამიანი გამოვიდა? ცნობილია, რომ მიმდინარეობს მზადება, რათა ამ ადამიანთათვის შეთავაზებული იქნას სხვადასხვა სერვისები. დღესდღეობით ისეთი სიტუაცია გვაქვს, რომ ამ ადამიანებს ვერაფერს ვთავაზობთ. ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ, სარისკო ქცევა როგორ შეცვალონ, გავუკეთოთ ანალიზი სისხლით გადამდებ დაავადებებზე. მიმაჩნია, რომ მათთვის ამ ეტაპზე უნდა შეიქმნას კრიზისული თავშესაფარი, სადაც შეიძლება განთავსდნენ ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანები. ეს ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნებოდა დღესდღეობით, – აღნიშნა ბიძინაშვილმა.

ჩვენს შეკითხვას, თუ მომხმარებელთა რამდენ პროცენტს სურს დაძლიოს პრობლემა ან რა საშუალებებით ახერხებენ ნარკოტიკების მოპოვებას ქალბატონები, მით უმეტეს, რომ ბენეფიციართა უმრავლესობა დაბალი და საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენელია, ბიძინაშვილმა უპასუხა, რომ კვლევა ამასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, რადგან ამ პოპულაციასთან ხელმისაწვდომობა ძალიან რთულია. რაც შეეხება ნარკოტიკების მოპოვებას, გვიპასუხა, რომ ეს ძალიან საინტერესო თემაა. ნარკოტიკების მოხმარება კოლექტიური ფენომენია და ნარკოტიკების მოპოვებაში ყველაზე მეტად ქალბატონებს თავიანთი მეუღლე ან პარტნიორი ეხმარება:

– ასეთი ტანდემი არსებობს – მამაკაცი და მისი პარტნიორი ქალი, რომლებიც ერთად ცხოვრობენ. თუმცა, ბოლო პერიოდში გამოჩნდა ქალბატონების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ერთად მოიხმარენ. რაც შეეხება ფინანსურ შესაძლებლობებს, ისინი ვერ მოიხმარენ ოპიატების ჯგუფის ისეთ საშუალებებს, რომლებიც საშინლად ძვირია და მამაკაცი მომხმარებლებისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი. ქალების მიერ ძირითადად ხდება კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, რომელთა ფასი ძალიან დაბალია და მოპოვება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ფსიქოტროპული პრეპარატები, რომელთაგან ნარკოტიკის დამზადება შეიძლება, ურეცეპტოდაც იყიდება.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა ასევე ქალ და მამაკაც ნარკომომხმარებელთა ტანდემის არსებობის შემთხვევაში, რატომ ხდება ქალი ძალადობის მსხვერპლი?

ბიძინაშვილმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არის ასეთი ტანდემი, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნარკოტიკების სანაცვლოდ ქალი ეწევა კომერციულ სექსსაქმიანობას:

– უმუშევარი ქალბატონისთვის ძალიან ძნელია მოიპოვოს თუნდაც იაფფასიანი ნარკოტიკი – 10-20 ლარი დღის განმავლობაში. შესაბამისად, ძალადობის ფაქტები ხშირია. ეს ხდება ოჯახს გარეთ და საერთოდ, ჩვენს ბენეფიციარებს ურჩევნიათ იცხოვრონ ოჯახს გარეთ, რადგან ასე უკეთესად მალავენ საკუთარ მდგომარეობას, – გვითხრა ბიძინაშვილმა.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში ჯამში 42 მომხმარებელი ქალი იყო ჩართული. ასე რომ, ძალზე დაბალია ქალების ჩართულობა სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებში და დაახლოებით 1,5 – 4%-ს შეადგენენ.

# გიორგი ლაღიძე: „ახალი ხელისუფლება მაოცებს“

შორენა გონგლაძე



## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***– პრემიერ–მინისტრის ვიზიტი თურქეთსა და სომხეთში დამთავრდა იმით, რომ სომხებმა სადავო ტაძრების საკითხის გადაწყვეტის დაპირება მიიღეს, თურქებმა კი მეჩეთის აშენების პირობა. ამ შემთხვევაში საპატრიარქოს და პრემიერის პოზიცია ერთმანეთს არ დაემთხვა. ამ ფაქტმა საზოგადოებაშიც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყო?***

– სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ ახალი ხელისუფლების ქმედებით. პრაქტიკულად, ისინი იგივე შეცდომებს იმეორებენ, რა შეცდომებიც დაუშვა წინა ხელისუფლებამ, რასაც მოჰყვა ჩვენი საზოგადოების სრულიად სამართლიანი გულისწყრომა. მინდა დავიწყო სომხეთთან დაკავშირებით არსებული პრობლემებით, ისინი ჩვენ გვიყენებენ პრეტენზიას, რომ თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე არის რამდენიმე სომხური ტაძარი, ამასთან დაკავშირებით დიდი ხანია დავა გრძელდება. პრემიერის სომხეთში ვიზიტის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სადავო ძეგლებს ჩაუტარდება რესტავრაცია და ეს მოხდება ქართული ფულით. ეს ძეგლები არის დღეს სადავო, მაგრამ საინტერესოა, რესტავრაცია რის მიხედვით ჩაუტარდებათ, ქართული კანონიკური წესების დაცვით მოხდება ტაძრების აღდგენა თუ გრიგორიანული. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი ჩემში სერიოზულ აღშფოთებას იწვევს. მე მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ჯერ უნდა იქნეს გადაწყვეტილი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩაუტარდეს რესტავრაცია ძეგლებს. მიმაჩნია, რომ ქართული მხარე საკმაოდ რბილად უდგება ამ საკითხს, რაც სულაც არ მიმაჩნია სწორად. ამ საკითხებზე საჭიროა მკაცრი კონტროლი და მყარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს არის ქართული ძეგლები და ისინი უნდა გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს და ეს დავა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის თურქეთში ვიზიტს, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესიების აღდგენის საკითხი განიხილებოდა, თურქეთმა წამოაყენეს პირობა, რომ ამის სამაგიეროდ ბათუმის ტერიტორიაზე აშენებულიყო აზიზიეს მეჩეთი იმ ადგილას, სადაც არის ჩვენი იუნკრების საფლავი. ეს იყო ქართველი ერის უდიდესი შეურაცხყოფა. მაშინ ძალიან სამართლიანად აიმაღლა ხმა ქართველმა საზოგადოებამ და სააკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა, ეს პროექტი შეეჩერებინა. დღეს ბიძინა ივანიშვილი გაცილებით დიდ დათმობებზე წავიდა, თურქები ამ შემთხვევაში უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ გაგებით, რომ ბათუმში აშენდება მეჩეთი და თანაც ქართული ფულით. ამ შემთხვევაში სრულიად სამართლიანია როგორც საზოგადოების, ასევე საპატრიარქოს გულისწყრომა და მინდა გითხრათ, რომ მე პირადად კატეგორიული წინააღმდეგი ვარ საქართველოს ტერიტორიაზე ყველანაირი მეჩეთის აშენების, ვინაიდან კარგად ვიცით, როგორი მძიმე მდგომარეობაა შექმნილი აჭარაში და განსაკუთრებით ბათუმში, რადგანაც ეს ქალაქი არის რეალურად გათურქების საშიშროების წინაშე.

***– რატომ არ აღმოჩნდა ამ შემთხვევაში საპატრიარქოს პოზიცია მნიშვნელოვანი?***

– ვერ გეტყვით, რატომ არ გაუწია ანგარიში ივანიშვილის ხელისუფლებამ საპატრიარქოს მაშინ, როდესაც წინასაარჩევნოდ კოალიციას სასულიერო პირები საკმაოდ აქტიურად უჭერდნენ მხარს და საკმაოდ შესამჩნევი იყო ასევე უწმინდესის კეთილი განწყობა პირადად ივანიშვილის მიმართ. თუ ამ ყველაფერთან დაკავშირებით საზოგადოებამ, მათ შორის სამოქალაქო სექტორმა და პოლიტიკურმა პარტიებმა, ხმა არ აიმაღლეს, ჩვენ, შესაძლოა, უახლოეს ხანში ბათუმში ვიხილოთ კიდევ ერთი მეჩეთი და ასევე ყველა სადავო ეკლესია გადაეცეს სომხურ მხარეს. მე ასევე მინდა მოვუწოდო ამ ხელისუფლებას, განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ ამ საკითხებს. ახალი ხელისუფლება ნუ იფიქრებს, რომ ვინაიდან მოიგეს პირველი ოქტომბრის არჩევნები, ამ ქმედებებით ხალხის ნდობას ბოლომდე შეინარჩუნებენ. საზოგადოებამ კოალიციას და პირადად ბიძინა ივანიშვილს გამოუცხადა სრული ნდობა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილი არ უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ რეიტინგს. მინდა შევახსენო მას, რომ მუდმივი ამ ქვეყნად არაფერი არ არის და ის უნდა შეეცადოს, მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს ის ნდობა, რაც მას მოსახლეობამ გამოუცხადა.

***– ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისების თემა, ამაზე არაერთხელ დაისვა საკითხი, თუმცა რატომღაც ახალი ხელისუფლება პასიურობს..***

– ეს არის ძალიან ცუდი ფაქტი. მიწებს გასხვისების პროცესი დაიწყო სააკაშვილის ხელისუფლებამ და მათ, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი სამარცხვინო ნაბიჯი გადადგეს და იგივეს აგრძელებს ივანიშვილის ხელისუფლებაც. ყოველდღიურად ვრცელდება სოციალური ქსელებით თუ საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაცია მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით.

## 22 თებერვალს ერგნეთში მორიგი შეხვედრა გაიმართება

22 თებერვალს ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის მორიგი, 31 შეხვედრა გაიმართება. სააგენტო ,,რესის“ ცნობით, შეხვედრაში მონაწილეობას სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, საქართველოს, ევროკავშირის და ეუთოს წარმომადგენლები მიიღებენ. შეხვედრის ფარგლებში საქართველო-ოსეთის ე.წ. საზღვარზე ინციდენტების განხილვა იგეგმება, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ერგნეთის ბოლო შეხვედრიდან დღემდე.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დელეგაციას ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში მოადგილე ხოხ გაგლოთი უხელმძღვანელებს. ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის ბოლო შეხვედრა 29 იანვარს გაიმართა.

მედიანიუსი

## დღეს ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი

დღეს საქართველოს უმეტეს რეგიონში ნალექიანი ამინდია ნავარაუდევი. როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მოსალოდნელია ნალექი, ბარში წვიმის, მთაში კი თოვლის სახით. იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ჰაერი კი 5-10 გრადუსამდე გათბება. აღმოსავლეთ საქართველოში სინოპტიკოსები დღის პირველ ნახევარში წვიმასა და ნისლს პროგნოზირებენ. მთაში კი მოსალოდნელია თოვლი. აქაც დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15, ზოგან კი 17-22 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა აქაც 5-10 გრადუსს მიაღწევს.

დღეს დღის პირველ ნახევარში თბილისშიც მცირე წვიმა და ნისლია ნავარაუდევი. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15, დროგამოშვებით კი უფრო ძლიერი 17-22 მეტრი წამში. ჰაერი 9 გრადუსამდე გათბება.

მედიანიუსი

# ჯემალ აჯიაშვილი რუსთაველის თეატრში გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ქართველ-ებრაელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო – ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსი გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ალბომი, რომელიც კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა და მასში პოეტისა და მთარგმნელის ნაწარმოებები შევიდა. რუსთაველის თეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ იხილა დოკუმენტური ფილმიც. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად, ჯემალ აჯიაშვილის კოლეგები, მეგობრები, მისი შემოქმედების გულშემატკივრები და საქართველოსა და ებრაელთა საზოგადოების წარმომადგენლები. ხსოვნის საღამოს ორგანიზატორი სწორედ საქართველოსა და ებრაელთა საზოგადოების საინიციატივო ჯგუფი აღმოჩნდა. ამ ღონისძიებაზე გახდა ცნობილი, რომ, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, ჯემალ აჯიაშვილის სახელი ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა.

ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, პოეტი, მწერალი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი სენაკელი იყო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ირანში ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში სპარსული ენის თარჯიმნად, საქართველოს კულტურის სამინისტროში მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელად, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთკავშირების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და უცხო ენების ინსტიტუტში. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლად. არჩეულ იქნა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგედ, მოგვიანებით კი – ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორად. მან თარგმნა მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები – ბიბლიური ფსალმუნები, ანდალუსიელი ებრაელი პოეტების ლექსები, ძველბერძნული და სპარსული პოეზიის ნიმუშები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის დრამატული პოემები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს, რილკეს სონეტები, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბორის პასტერნაკისა და სხვათა ლექსები. იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, სამი მოწვევის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის, ებრაულ თემთა ევროკავშირის ორგანიზაციათა წევრი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მარჯანიშვილის თეატრში წარმატებით დაიდგა მის მიერ ნათარგმნი კარლო გოცის პოემა-ზღაპარი „ცისფერი უკუნეთი“, ჩიკამაცუს დრამატული პოემა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა კუნძულის ზეციურ ბაგეზე“. ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას უძღვნა ისტორიული ესე „გაიღვიძე ქნარო!“ – პიესა-მონოლოგი, რომელიც კოტე მახარაძემ დადგა ერთი მსახიობის თეატრში. პოეტი დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ჯილდოებითა და პრემიებით, იყო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ივანე მაჩაბლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „საბა“ საუკეთესო თარგმანისთვის „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“.

ჯემალ აჯიაშვილი 68 წლის ასაკში ისრაელში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 5 იანვარს გარდაიცვალა. იგი ისრაელში დაკრძალეს. საქართველოს მწერალთა კავშირში გაიხსნა სამძიმრის წიგნი, სადაც ყველა მსურველმა ჩანაწერი დატოვა. მათ შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც აღმოჩნდა. პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა:

„მინდა, მწუხარება გამოვთქვა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ აჯიაშვილის გარდაცვალების გამო. ფასდაუდებელია ის წვლილი, რომელიც მან შეიტანა ორი ერის – ქართველი და ებრაელის ერის კულტურული ურთიერთობის საქმეში. მთელი თავისი მოღვაწეობა მან მიუძღვნა ამ ორი უძველესი ერის დაახლოებას. ებრაული კლასიკური პოეზიის თარგმანებით დიდი საგანძური შეიტანა ქართულ პოეზიაში. დიდი შემოქმედისა და გამორჩენილი ზნეობის ადამიანებს, მათ ხსოვნას ჯემალ აჯიაშვილის სახით ყოველთვის ეყოლება დამფასებელი ჩვენს ცხოვრებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა კი სამძიმრის წერილი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია:

„მისი ორიგინალური თარგმანით გამორჩეული პიესები არაერთხელ ყოფილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის აღფრთოვანების საგანი. მას ნათარგმნი აქვს მრავალი მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები და ამასთანავე განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ებრაული კლასიკური პოეზიის ქართულად თარგმნის საკითხში. ბატონ ჯემალს ნამდვილად გამორჩეული ადგილი ეკავა როგორც ქართულ-ებრაულ და მსოფლიო ლიტერატურაში, ასევე ჩვენს ერებს შორის ურთიერთობაში. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ბატონი ჯემალის ოჯახსა და ახლობლებს და სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას“.

საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის თქმით კი ის პოეტს საკმაოდ კარგად იცნობდა, რადგან ჯემალ აჯიაშვილი მის მშობლებთან მეგობრობდა:

– მას ვიცნობდი ბავშვობიდან, რადგან ის ჩემს მშობლებთან მეგობრობდა. გული დამწყდა მისი გარდაცვალების გამო. გარდა იმისა, რომ იყო ძალიან დიდი პოეტი და მთარგმნელი, იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ისრაელში საქართველოს საელჩოში მუშაობდა, ამიტომ მისი ამქვეყნიდან წასვლა ჩემთვის ორმაგი ტკივილია.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა განაცხადა:

– ორმა ქვეყანამ, ისრაელმა და საქართველომ, დაკარგა საუკეთესო შვილი, არაჩვეულებრივი პიროვნება, პოეტი და მთარგმნელი, ჯემალ აჯიაშვლი. ვისთვისაც ძვირფასია ქართული სიტყვა, ადამიანის სიბრძნე და ორი ბიბლიური ქვეყანა, ყველასთვის მტკივნეულია მისი გარდაცვალება. ბატონი ჯემალი წმინდა მიწაზე დაიკრძალა და დაიკრძალა ასევე თითოეული ჩვენგანის გულში.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ კი მისი გახსენება რუსთაველის თეატში დაიგეგმა და მისი ალბომის პრეზენატციაც შედგა.

გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:

– ჯემალ აჯიაშვილის წიგნი გამოვეცით. ნეტავ უფრო გვიან გამოცემულიყო, იმიტომ რომ ეს მაინც მის სიკვდილთან არის დაკავშირებული. ვერავინ ვიფიქრებდით, თუ ის ამქვეყნიდან ასე მალე წავიდოდა. ის ჩემი მეგობარი იყო, შესანიშნავი ადამიანი, პოეტი, მოაზროვნე და შესანიშნავი მთარგმნელი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის სამყარო, რომელიც თავისი თარგმანით ჯემალ აჯიაშვილმა გამაცნო. არ მეგონა, ასე უცებ თუ დაგვტოვებდა, თანაც ასეთი ნაწამები კაცი.

ნათელა პატარკაციშვილი:

– ძალიან კარგი ადამიანი იყო, ძალიან უბრალოდ დაიღუპა, ალბათ, ავადმყოფობამ უმტყუნა და მოვედით მისი ხსოვნის პატივსაცემად. ჯემალ აჯიაშვილი ხიდია ქართველი და ებრაელი საზოგადოებისთვის. მის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია და მჯერა, რომ მისი შემოქმედება წლების შემდეგ კიდევ უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს ქართველი და ებრაელი საზოგადოების ურთიერთობებს.

მანანა ბერიკაშვილი:

– ჯემალ აჯიაშვილმა ქართულ კულტურაში თავისი ღრმა კვალი დატოვა. არავინ შემედავება, თუკი ვიტყვი, რომ ქართულ პოეზიასა და ქართულ ხმოვანებაში მან შეიტანა ახალი ჟღერადობა, ახალი ქართული პოეტური ენა მოიგონა და შექმნა. ამას მისი თარგმანები მოწმობს, რომლებიც, ჩემი აზრით, ძალიან ღრმა და შინაარსიანია.

გივი სიხარულიძე:

– რა შემიძლია გითხრათ ჯემალ აჯიაშვილზე? შვილებს ვფიცავარ, ის იყო ერის მეგობარი და ის იყო ერის სიამაყე. მიმაჩნია, რომ უდიდესი პოეტია რეზო ამაშუკელი, მაგრამ ჯემალ აჯიაშვილმა თავისი კვალი დატოვა ქართულ სამწერლობო ხელოვნებაში. ის იყო ქალაქელი კაცი და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ამასთანავე იყო გასხივოსნებული პოეტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

# „გამზრდელი“ აფხაზურად ითარგმნა

ეკა ირემაშვილი

აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ აფხაზურად ითარგმნა. აფხაზურენოვანი წიგნების პრეზენტაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ორი აფხაზურენოვანი წიგნი. სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით აფხაზურ ენაზე გამოიცა აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და მწერლისა და პოეტის დიმიტრი გულიას კრებულის „ლექსები და შაირები“ რეპრინტი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, მინისტრის მრჩევლები, მწერლები, პოეტები, გამომცემლები და მიწვეული სტუმრები.

– კრებულში „ლექსები და შაირები“ წარმოდგენილია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას მიერ 1912 წელს თბილისში გამოცემული ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებების პირველი გამოცემის სკანირებული ვერსია და ამ ვერსიის თანამედროვე აფხაზურ ანბანზე ადაპტირებული ვარიანტი. დიმიტრი გულიას ეს კრებული პირველად სწორედ 1912 წელს დაიბეჭდა და ამ წიგნით საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას, – აღნიშნა პრეზენტაციაზე კულტურის მინისტრმა.

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს სოხუმის სახელმწიფი უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა სოფიკო ჭაავამ და თამარ გითოლენდიამ. პროექტის ხელმძღვანელია სრული პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე.

– აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ პირველი ილუსტრირებული საბავშვო გამოცემაა აფხაზურ ენაზე. პროექტის იდეის ავტორი და რედაქტორია პროფესორი სალომე კაპანაძე, გამოცემას კორექტირება აფხაზოლოგმა ესმა კოკოსკირმა გაუკეთა. ქართული ნაწარმოებები აფხაზურ ენაზე ადრეული პერიოდიდან ითარგმნებოდა და დიდ ინტერესსაც იმსახურებდა. ამ პროექტის მიზანია, აღდგეს და გაგრძელდეს ქართული ნაწარმოებების თარგმნა აფხაზურ ენაზე, – განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა თეიმურაზ გვანცელაძემ.

როგორც წიგნების წარდგენისას გარდა ცნობილი, ეს მხოლოდ დასაწყისია და მომავალში ქართულიდან აფხაზურად არაერთი წიგნი ითარგმნება.

**გურამ ოდიშარია:**

– ეს არის დიმიტრი გულიას ლექსების კრებული, რომელიც გამოიცა ზუსტად 100 წლის წინ და ამით საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ ლიტერატურას. ის არის აფხაზური ლიტურატურის დამფუძნებელი, ანუ 100 წლისაა აფხაზური ლიტერატურა. ზოგი ლიტერატურა ახალგაზრდაა, ზოგიც ხანდაზმული, ამიტომ ქართულ და აფხაზურ ლიტერატურას ყოველთვის უდიდესი ურთიერთობა ჰქონდა. ვიცი, რომ აფხაზები ძალიან დიდი სიყვარულით კითხულობენ და დღესაც ეცნობიან ვაჟა ფშაველას პოემებს, სადაც იმ თვისე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიზროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ქართულ ჭიდაობას გელა ბერუაშვილი უთავკაცებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ქართული ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გაიმართა.

ყრილობაზე დღის წესრიგის ძირითადი საკითხი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობისათვის 5 კანდიდატი იბრძოდა – გელა ბერუაშვილი, უშანგი ყურაშვილი, კაკო ბორცვაძე, ნოდარ სირბილაშვილი და პაატა ურიათმყოფელი.

საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის უფლების მქონე მოწვეული 49 დელეგატიდან მონაწილეობა 47-მა მიიღო.

არჩევნების მსვლელობისას უშანგი ყურაშვილმა, კაკო ბორცვაძემ და პაატა ურიათმყოფელმა კანდიდატურები მოხსნეს. ფარულ კენჭისყრაში გელა ბერუაშვილმა 28 ხმა მიიღო, ნოდარ სირბილაშვილმა – 19. შედეგად, გელა ბერუაშვილი ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად დამტკიცდა. ფედერაციის ახალი შემადგენლობის ასარჩევად ბერუაშვილმა 1-კვირიანი ვადა მოითხოვა.

ქართული ჭიდაობის საარჩევნო ყრილობას მოწვეული სტუმრების სტატუსით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე ესწრებოდნენ.

ქართული ჭიდაობის ფედერაციას 2012 წლის აპრილიდან რამაზ ხატიაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა.

# მამუკა ხაბარელი ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვებგვერდის ცნობით, რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში შედგა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტის პატრიკ ჰიკის შეხვედრა სეოკის ვიცე-პრეზიდენტ მამუკა ხაბარელთან. ბატონი ჰიკი სეოკ-ის დიდი ხნის მეგობარია და ოფიციალური ვიზიტით არაერთხელ იმყოფებოდა საქართველოში. შეხვედრის დასაწყისშივე პატრიკ ჰიკმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების გამო.

ამ არჩევნებთან დაკავშირებით პირადად მას და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს დეტალური ანგარიში ჩააბარა კიკის ლაზარიდესმა, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხაზინადარმა, რომელიც სპეციალურად იყო მოწვეული საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე დამკვირვებლის სტატუსით. ბატონი ჰიკი დაინტერესდა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის მზადების დეტალებით, მათ შორის, თუ როგორ ვითარდება ოლიმპიური სოფლის მშენებლობის პროექტი და სხვა მოსამზადებელი სამუშაოები. მან ყურადღება გაამახვილა ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარების მნიშვნელობაზე, რომლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ევროპის ახალგაზრდობაა. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ოლიმპიური კომიტეტი, „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ფესტივალისთვის მზადების პროცესში და დასახული ამოცანების დადგენილ ვადებში შესრულებას გააკონტროლებს.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი ასევე დაინტერესდა ბაკურიანში საციგაო ტრასის მშენებლობით და დეტალურად გაეცნო უახლოეს მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებს, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებითა და საქართველოს ხელისუფლების თანადაფინანსებით უნდა განხორციელდეს. ბატონმა ჰიკმა კიდევ ერთხელ უდიდესი გულისტკივილით გაიხსენა ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად დაღუპული ქართველი სპორტსმენი ნოდარ ქუმარიტაშვილი და ხაზი გაუსვა ტრასის მშენებლობის უდიდეს მნიშვნელობას ქვეყანაში საციგაო სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით და ნოდარის სახელის უკვდავსაყოფად.

რასაკვირველია, შეხვედრის ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხი ჭიდაობის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან შესაძლო ამოღებას ეხებოდა. ბატონი ჰიკი კარგად აცნობიერებს, თუ რამდენად აქტუალური თემაა ჭიდაობის გარშემო წამოჭრილი პრობლემები ჩვენს ქვეყანაში სპორტის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. საბოლოო გადაწყვეტილებას სოკ-ის წევრები მიიღებენ 125-ე გენერალურ ასამბლეაზე ბუენოს-აირესში (არგენტინა) 2013 წლის სექტემბერში. ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტსა და ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს შორის შეხვედრისას ასევე საუბარი გაიმართა სოკ-ის გენერალური ასამბლეის დღის წესრიგის მთავარ საკითხზე – სოკ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევნებზე. ამ პოსტზე იკვეთება 3 კანდიდატურა, ესენია: თომას ბახი – გერმანიის სპორტის ოლიმპიურ სახეობათა კონფედერაციის დამფუძნებელი პრეზიდენტი, სოკ-ის აღმასკომის საპატიო წევრი და მისი იურიდიული კომისიის თავმჯდომარე; პუერტორიკოელი რიჩარდ კერიონი – სოკ-ის ფინანსური კომისიის ხელმძღვანელი და სინგაპურელი სერ მიანგი, რომელსაც ასევე კარგი რეპუტაცია აქვს სოკ-ის წევრებს შორის.

შეხვედრის დასასრულს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა წარმატებები უსურვა მამუკა ხაბარელსა და სეოკ-ის ახალ ხელმძღვანელობას ქვეყანაში სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარების საქმეში და განაცხადა, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტები და მისი ხელმძღვანელობა, თავად ბატონი პატრიკი, მზად არის, ნებისმიერ დროს უმასპინძლოს რომში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების შტაბ-ბინაში საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტსა და სეოკ-ის ახალარჩეულ სხვა ხელმძღვანელებს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

არსენალი-ბაიერნი ........ 1:3
პორტუ-მალაგა ........ 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ვულვზი ........ 2:1
ბარნლი-მიდლსბრო ........ 0:0
ბირმინგემი-უენსდი ........ 0:0
დერბი-ბოლტონი ........ 1:1
იფსვიჩი-უოტფორდი ........ 0:2
კარდიფი-ბრაიტონი ........ 0:2
ლესტერი-ჩარლტონი ........ 1:2
მილუოლი-პიტერბრო ........ 1:5
ნოტინგემი-ჰადერსფილდი ........ 6:1
ჰალი-ბლექბერნი ........ 2:0
კრ.პალასი-ბრისტოლი ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-დ.იუნაიტედი ........ 0:1
სტ.ჯონსონი-სელტიკი ........ 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ტორონტო ........ 88:96
ორლანდო-შარლოტი ........ 92:105
ბრუკლინი-მილუოკი ........ 113:111(ოტ)
დეტროიტი-მემფისი ........ 91:105
ნიუ ორლეანი-ჩიკაგო ........ 87:96
დენვერი-ბოსტონი ........ 97:90
იუტა-გოლდენ სტეიტი ........ 115:101
პორტლენდი-ფინიქსი ........ 98:102
საკრამენტო-სან ანტონიო ........ 102:108

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბუფალო-ვინიპეგი ........ 1:2
რეინჯერსი-მონრეალი ........ 1:3
ოტავა-აილენდერსი ........ 3:1
ტამპა ბეი-ტორონტო ........ 4:2
ნეშვილი-დეტროიტი ........ 4:3(ოტ)
სენტ ლუისი-სან ხოსე ........ 1:2
ჩიკაგო-ვანკუვერი ........ 3:3(1:0ბ)
ედმონტონი-ლოს ანჯელესი ........ 1:3

# ბაიერნმა ლონდონის გზა ლონდონში დაიწყო

**არსენალი – ბაიერნი 1:3**

0:1 კროოსი (7), 0:2 მიულერი (21), 1:2 პოდოლსკი (55), 1:3 მანჯუკიჩი (77)

**არსენალი:** შესნი, სანია, მერტეზაკერი, კოსილნი, ვერმაელენი, უილშირი, არტეტა, რემსი (როსიცკი 71), კასორლა, პოდოლსკი (ჟირუ 71), უოლკოტი



**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა, მარტინესი, შვაინშტაიგერი, მიულერი, კროოსი (გუსტავო 73), რიბერი (რობენი 63), მანჯუკიჩი (გომესი 79)

ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე მერვედფინალურ წყვილში უკვე პირველივე მატჩების შემდეგ გაირკვა ყველაფერი და სტუმრად მოთამაშე გუნდებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. პსჟ-სა და „იუვენტუსს“ ახლა უკვე „ბაიერნიც“ შეუერთდა. ბავარიულმა კლუბმა ლონდონში გასამართი ფინალური მატჩისკენ სვლა ლონდონიდან დაიწყო, სადაც „ემირეიტს სთედიუმზე“ „არსენალს იოლად მოუგო.

მართალია, „არსენალმა“ გერმანულ მანქანას 2013 წელს პირველი ბურთი გაუტანა, მაგრამ მაინც უსუსურად გამოიყურებოდა და ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს. პირიქით, სტუმრები უფრო შინაურულად გამოიყურებოდნენ სტადიონზე და მატჩის მსვლელობაზე ძირითადად კონტროლს ისინი აწესებდნენ. ერთადერთხელ ჩაუსახეს ბავარიელებმა მეტოქეს იმედი, თუმცა მატჩის ბოლოს ისევ მოუკლეს და „არსენალს“ მიუნხენში წარმატების მიღწევის იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს.

მიუნხენელებმა სოლიდური უპირატესობა დასაწყისშივე მოიპოვეს. მე-7 წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან მიულერის ჩაწოდების შემდეგ, საჯარიმოს წინა ხაზთან მდგომმა კროოსმა ძლიერად და ზუსტად დაარტყა. 21-ე წუთზე გოლი თავად მიულერმა გაიტანა – სტუმრებმა კუთხური მოაწოდეს და შესნიმ ვან ბუიტენის თავური კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე მიულერმა ივარგა, რომელმაც ახლო მანძილიდან გაიტანა.

„არსენალი“ მე-2 ტაიმში შედარებით აქტიურობდა. ლონდონელებმა 2 სახიფათო მომენტი შექმნეს, რომელთაგან პირველი გოლად აქციეს. 55-ე წუთზე, უილშირის მიერ კუთხურის მოწოდების შემდეგ, ნოიერი კარიდან გაუმართლებლად გამოვიდა და პოდოლსკის ყოფილი თანაგუნდელების კარში გოლის გატანა არ გასჭირვებია. მასპინძლებმა მე-2 მომენტი მოედანზე ჟირუს შესვლის შემდეგ შექმნეს, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ფრანგმა შემტევმა ბურთი ნოიერს გაარტყა.

„არსენალი“ გასათანაბრებლად იწევდა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში მიიღეს. საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შესულმა ლამმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც მანჯუკიჩმა ისარგებლა შესნისა და სანიას დაუდევრობით.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტომას მიულერი**

გერმანელთა შემტევი ყველაზე აქტიური იყო მოედანზე, მონაწილეობდა თითქმის ყველა კომბინაციაში და არც შავი სამუშაოს შესრულებას ერიდებოდა. გოლი და საგოლე პასი კი იმის დასტურია, რომ მიულერი მეტოქის მცველებს მოსვენებას არ აძლევდა. მისმა აქტიურობამ ძალიან ბევრი გადაწყვიტა „ბაიერნის“ სასარგებლოდ.

## მატჩის შემდეგ:

**იუპ ჰაინკესი, „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ინგლისურ გუნდთან სტუმრად 3:1 გამარჯვება დიდი წარმატებაა. თანაც, „ბაიერნის“ ბოლო სტუმრობები ინგლისში არცთუ წარმატებული იყო. თამაში კარგად დავიწყეთ და სასეირო ფეხბურთი ვაჩვენეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, თუმცა, ვფიქრობ, რომ „არსენალი“ მართლა კარგი გუნდია და მასთან გასამარჯვებლად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. შარშან ფინალამდე მივედით. იმავეს გასამეორებლად კლასსა და გამოცდილებას უნდა დავეყრდნოთ. მეორე ტაიმში შეგვეძლო წინ წასვლა და კიდევ გატანა. ამ ანგარიშით გამარჯვებას აბსოლუტურად დამსახურებულად მივიჩნევ, თუმცა სტანდარტიდან გოლის გაშვება ჩვენი წესი არ არის. საერთოდ, ასეთი სიტუაციებისთვის კარგად გვაქვს ჩამოყალიბებული მოქმედების გეგმა.

**არსენ ვენგერი, „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი:**

– პირველი ხუთი წუთის განმავლობაში კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ მეტოქემ კარის ჩარჩოში პირველივე დარტყმა გოლად აქცია და ამის შემდეგ ჩვენს დაცვას ნერვიულობა დაეტყო. ჩვენ წინააღმდეგ მართლაც მაღალი კლასის გუნდი თამაშობდა და პირველ ტაიმში ეპიზოდებში ჩვენზე უკეთესადაც ირჯებოდა. მეორე ტაიმში გამოვფხიზლდით, დავეუფლეთ ინიციატივას და გვქონდა შანსი, ანგარიშში წონასწორობა აღგვედგინა. მაგრამ, სამწუხაროდ, კონტრშეტევაზე კვლავ დაგვიჭირეს. „ბაიერნმა“ ძალზე ეფექტურად ითამაშა და თავისი მომენტები გამოიყენა, რაც უნდა მივულოცოთ. გულშემატკივრებისგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდით და ძალიან დამწუხრებული ვარ, რომ ისინი გამარჯვებით ვერ გავახარეთ. ბუნებრივია, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ, შევეცდებით, შეუძლებელი შევძლოთ. გერმანიაში უნდა წავიდეთ და იქ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ამას შინ ვაკეთებთ ხოლმე. მესამე გაშვებულმა გოლმა ჩვენი ამოცანა უკიდურესად კი გაართულა, მაგრამ ყველაფრის გამოსწორებას ვეცდებით. ჩემი მოთამაშეების ძველებურად მჯერა და ეჭვი არ მეპარება, რომ სათანადო კლასსა და ოსტატობას ფლობენ. უბრალოდ, მათ ზოგჯერ თავდაჯერება აკლიათ.

**პორტუ – მალაგა 1:0**

1:0 მოუტინიო (56)

**პორტუ:** ჰელტონი, დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო, ლუჩო გონსალესი (კასტრო 90), ფერნანდო, მოუტინიო, იზმაილოვი (აცუ 70), მარტინესი, ვარელა (როდრიგესი 58)

**მალაგა:** კაბალიერო, სანჩესი (პორტილიო სოლერი 63), დემიკელისი, ველიგტონი, ანტუნესი, სანჩესი, ტულალანი, იტურა (კამაჩო 78), ისკო, ბაპტიშტა (პიასონი 78), სანტა კრუსი

საინტერესო მატჩი კი გამოდგა, მაგრამ არც ისე თვალსასეირო, როგორც ამას ვარაუდობდნენ. სპეციალისტები უფრო გახსნილ თამაშს ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ეს განსაკუთრებით ესპანელებს ეხებათ, რომლებმაც უფრო ფრთხილი თამაში არჩიეს და ყველაფერი საკუთარ მოედანს მიანდეს.

პორტუგალიელები საკუთარი კედლების გათვალისწინებით პირველ ნომრად თამაშსა და მატჩის მოგებას ცდილობდნენ, რაც გამოუვიდათ კიდეც. ერთადერთი გოლი საკამათო გამოდგა, მაგრამ მაინც ჩაითვალა.

ვფიქრობთ, მასპინძლებმა დამსახურებულად მოიგეს და მომდევნო მატჩის წინ მცირე უპირატესობაც მიიღეს, თუმცა 3 კვირაში „ლა როსალედაზე“ ბევრი რამ გადაწყდება.

აღსანიშნავია, რომ „მალაგამ“ ევროტურნირებზე თავისი 25-ე თამაში ჩაატარა და მხოლოდ მე-2 წააგო. ამჯერადაც ქალაქ პორტუში – „ბოავიშტას“ შემდეგ, ანდალუსიელთა დამარცხება „პორტუმ“ მოახერხა ანგარიშით 1:0.

მატჩის ერთადერთი გოლი მე-2 ტაიმის დასაწყისში გაიტანა. 56-ე წუთზე, მარცხენა ფლანგზე კარგად მოთამაშე ალექს სანდროს გადაცემის შემდეგ, თითქოს თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა მოუტინიომ ბურთს მიმართულება მცირედით შეუცვალა, რაც თამაშის მოსაგებად საკმარისი გამოდგა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჟოაუ მოუტინიუ**

პორტუგალიელთა ცენტრალური ნახევარმცველი მატჩის გმირი გახდა. მან მოედანზე კოლოსალური სამუშაო შეასრულა, ასწრებდა შეტევაში ყოფნასაც და მცველთა დახმარებასაც. მის მიერ შესრულებული სტანდარტები უფრო ამწვავებდა სიტუაციას ესპანელთა კართან და, რაც ყველაზე მთავარია, გამარჯვების გოლი გაიტანა.

# რას გადაწყვეტს საკალათბურთო სამყარო

ამერიკულ პრესაში გაჩნდა სტატია, რომელშიც საქართველოს ნაკრებზეა საუბარი:

– შესაძლოა, ზოგიერთ ნაკრებს ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე კალათბურთელთა დაკლება არც შეეტყოს, მაგრამ რა უნდა ქნას საქართველომ ზაზა ფაჩულიასა და მწვრთნელ იგორ კოკოშკოვის გარეშე? ისინი ხომ ნბაში მოღვაწეობენ და კლუბები ნოემბერსა და თებერვალში კავკასიაში არ გაუშვებენ.

რისთვის დასჭირდა ამერიკულ მედიას ამ ფაქტის მოყვანა? საქმე ის არის, რომ ფიბა (კალათბურთის საერთაშორისო ასოციაცია) 2017 წლიდან ახალი პროექტის განხორციელებას აპირებს, რომლის მიხედვით, ევროპის ჩემპიონატები ორის ნაცვლად ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს.

ამ ფაქტმა კი მსოფლიოსა და ევროპის საკალათბურთო მმართველ ორგანიზაციებს ფიბასა და ფიბა-ევროპას შორის, შესაძლოა, დაძაბულობა გამოიწვიოს. როგორც უკვე ვარაუდობენ, ევროპულმა ქვეყნებმა ფიბას მიერ მოწყობილ შეჯიბრებებს (მსოფლიოს ჩემპიონატებს), შესაძლოა, ბოიკოტი გამოუცხადონ.

სადღეისოდ მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადებზე ნაკრებები ევრობასკეტის შედეგების მიხედვით თამაშობენ. ფიბას მიერ შემოთავაზებული ახალი სისტემით კი ისევე, როგორც ფეხბურთში, კალათბურთშიც ჩატარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირები.

მატჩები ორ წელიწადზე გადანაწილდება. მაგალითად: მსოფლიოს 2019 წლის პირველობის შესარჩევი ეტაპი 2017 წლის სექტემბერში დაიწყება და 2019-ის თებერვალში დასრულდება.

თითქოს საფეხბურთო ფორმატი მისაღები უნდა იყოს და ჩვენს საუკეთესო მოთამაშეებს უფრო ხშირად ვიხილავთ ეროვნული ნაკრების მაისურით, მაგრამ აქ ვაწყდებით იმ ციტატის მნიშვნელობას, რომელიც ამერიკელებმა შემოგვთავაზეს – ნბა-ს კლუბები ასე ხელაღებით, შუა სეზონის მიმდინარეობისას ნაკრებში არავის გამოუშვებს. აქედან გამომდინარე, თუ ფიბამ თავისი გაიტანა, დიდი ალბათობაა, საქართველოს ნაკრებს ევროლიგისა და ნბა-ს ვარსკვლავების გარეშე მოუწიოს თამაში.

ამიტომაც აპირებენ ევროპული ფედერაციები ბოიკოტის გამოცხადებას, მაგრამ მთავარია, მათი აზრი ფიბა-ევროპის პრეზიდენტმაც გაითვალისწინოს. როგორც ჩანს, ევროპული კალათბურთის შეფობა ამას არ აპირებს და ევროპული ქვეყნები უკვე ითხოვენ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც 2014 წლის ნაცვლად გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ფიფა ტექნოლოგიებს დათანხმდა

სავარაუდოდ, ფეხბურთში საკამათო სიტუაციების მოგვარებას ბოლო უნდა მოეღოს. ამის მიზეზი მსოფლიო ფეხბურთის მმართველი პირების ახალი გადაწყვეტილებაა. ფიფა-ში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2014 წელს, ბრაზილიაში გასამართი მუნდიალის დროს, კარის აღების ფიქსაციისთვის საჭირო ტექნიკა გამოიყენონ.

ფიფა-ს ვებგვერდის ცნობით, 2013 წელს კონფედერაციის თასზე და 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე, ყველა სტადიონზე, კარის ფიქსაციისთვის საჭირო ტექნიკა დამონტაჟდება. მსაჯების მოვალეობა იქნება, ყოველი თამაშის წინ ტექნიკის გამართულად მუშაობა შეამოწმონ.

ახლა გადასაწყვეტი ის არის, თუ რომელი კომპანია დაამონტაჟებს სტადიონებზე ტექნიკას. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და განაცხადი აქამდე ლიცენზირებულ ორ კომპანიას აქვს შეტანილი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ლიცენზიის მიღებას კიდევ რამდენიმე კომპანია აპირებს. ასე რომ, ახალი ტექნოლოგიის მონოპოლიზაციისთვის ბრძოლა იწყება.

# ზვიად ბოლქვაძემ სადებიუტო ალბომი გამოუშვა

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძე 9 მარტს ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში საღამოს გამართავს და პირველ საავტორო ალბომს წარმოდგენს. ზვიად ბოლქვაძე ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი პროექტ „ჯეოსტარიდან“ გახდა, თუმცა მას მუსიკალურ წრეში დიდი ხანია კარგად იცნობენ.

ზვიად ბოლქვაძეს ხვდა პატივი, ჩაეწერა გოგი დოლიძის ალბომი „იყო არა იყო რა“, რომელიც „ბრავო რექორდსის“ ყველაზე უნიკალური და ექსპერიმენტული პროექტია. გასული საუკუნის 90-იან წლების შუაში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გრამფირფიტების ჩამწერ ფირმა „მელოდიაში“ გოგი დოლიძე წერდა სიმღერებს თავისი ახალი ალბომისათვის. „ბრავო რექორდსმა“ გოგის ვაჟის, ლევან დოლიძისა და ამ პროექტის ავტორ ქეთი ლოლაძის თანადგომით შეძლო მოეპოვებინა ეს უნიკალური ცალკე ტრეკზე ჩაწერილი სიმღერები – გოგი დოლიძის ვოკალი მუსიკის გარეშე. პროექტის ხელმძღვანელად შეირჩა უნიჭიერესი მუსიკოსი და დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე, რომელმაც გოგის სიმღერების არანჟირების სრულიად ახალი, თანამედროვე ვერსიები მრავალფეროვანი ინსტრუმენტული აკომპანიმენტით მოამზადა. რამდენიმე თვის განმავლობაში „ბრავო რექორდსის“ გუნდი ზვიად ბოლქვაძესთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა გოგის ამ უნიკალურ პროექტზე. ალბომში შესულია 11 ყველასათვის საყვარელი ჰიტის სრულიად ახალი ვერსია. გოგის ხმა აბსოლუტურად ჰარმონიულად ჟღერს ზვიად ბოლქვაძის მიერ შექმნილ სავსე სიმფონიურ მუსიკალურ ფორმებთან ერთად. ეს ალბომი ორი ბრწყინვალე მუსიკოსის განუმეორებელ სულიერ და მუსიკალურ დიალოგს წარმოადგენს. ალბომის მოსმენისას მსმენელს რჩება შთაბეჭდილება, რომ სიმღერები გოგის სიცოცხლეშია ჩაწერილი და რომ სტუდიური ჩანაწერები დღეს შედგა. ეს უნიკალური დისკი უკვე გაყიდვაშია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია, შეიძინოს სხვადასხვა ადგილებში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ეს ალბომი ყველა ქართველისთვის საყვარელი მომღერლის გოგი დოლიძის ერთგვარი გაცოცხლება და მისი ყველასათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი სიმღერების თავიდან დაბადებაა. ალბომში შესული 11 ჰიტი: ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო, იყო არა იყო რა, ხმალი ავლესოთ, ძველებური თბილისური, გავა დრო და მოვუყვებით შვილებს, თბილისი, გულო, ქართველების ერთად ყოფნა, აყვავილდა ნუში, ომში წასულო ვაჟკაცო და ალგეთს ლეკვები მგლისანი.



გოგი დოლიძის ალბომზე მუშაობამდე კომპოზიტორმა ზვიად ბოლქვაძემ რუსთაველის თეატრში საავტორო საღამო გამართა. ორი წლის წინ მაისში კომპოზიტორი პირველად შეხვდა თავის მსმენელს და წარუდგინა საღამო სახელწოდებით „გზა მიდის“. ამ კონცერტში გორის ქალთა კამერული გუნდი, ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრი და სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ახალგაზრდა კომპოზიტორის პირველ საავტორო საღამოზე გაჟღერდა ზვიად ბოლქვაძის საგუნდო მუსიკა, კინომუსიკა და ბალადები მისივე შესრულებით. საავტორო საღამოს ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავად უდირიჟორა. კონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. კონცერტს მაშინდელი კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, მარინა ბერიძე და კულტურის სამინისტროს სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

9 მარტის კონცერტს კი კომპოზიტორი მანდილოსნებს უძღვნის. ამ საღამოზე მისი შესრულებით საავტორო სიმღერები გაჟღერდება. ეს არის სიმღერები, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა კომპოზიტორის მუსიკალურ ფონდში და პირველად გაჟღერდება კონცერტის სახით. კონცერტი გაიმართება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

– ზვიად ბოლქვაძემ მუსიკალური კარიერა თავის მშობლიურ ქალაქ ბათუმში დაიწყო, დაამთავრა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკოს სასწავლებლის საგუნდო სადირიჟორო ფაკულტეტი და მოღვაწეობდა აჭარის სახელმწიფო კაპელაში გუნდის მსახიობად. ექვსი წლის განმავლობაში თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელობის კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი ბატონი შალვა მოსიძის ხელმძღვანელობით დაამთავრა. ამჟამად აგრძელებს სწავლას დოქტურანტურაში კომპოზიციის განხრით. 2003 წლიდან მისი საგუნდო მუსიკა სრულდება შერეულ და ერთგვაროვანი გუნდების მიერ. 2007 წლიდან მას შექმნილი აქვს არაერთი ნაწარმოები კინოსათვის, თანამშრომლობს ცნობილ უკრაინელ კინორეჟისთან ალექსანდრ კირიენკოსთან. მასთან ერთად სხვადასხვა წლებში იმუშავა სამ ფილმზე, მოპოვებული აქვს პრიზი საუკეთესო უცხოური ფილმისთვის ჰიუსტონის მსოფლიო კინოფესტივალზე. მისი ფილმები ასევე წარდგენილ იქნა უკრაინიდან „ოსკარზე“ საუკეთესო უცხოური ფილმის სტატუსით. ზვიად ბოლქვაძე არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია მეორის საგალობლების საგუნდო და საორკესტრო არანჟირებების ავტორი. პირველი საავტორო საღამო 2011 წელს რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე შედგა და მაშინ კომპოზიტორმა მის მიერ შექმნილი საგუნდო და სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები წარმოადგინა, – ნათქვამია თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

9 მარტის კონცერტს კომპოზიტორი წარმოადგენს ბენდ „ნიუტონთან“ ერთად, რომლის შემადგენლობაშიც არიან დასარტყამი ინსტრუმენტები – ლევან აბშილავა, კლავიში – ამირან დიასამიძე, ბას გიტარა – შაკო ღელეყვა. კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული მუსიკოსები. კონცერტის დღეს გაიმართება ზვიად ბოლქვაძის პირველი საავტორო ალბომის „საფეხურების“ პრეზენტაცია.

# ეროვნულ არქივში საჯარო ლექცია ჩატარდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი 21-22 თებერვალს გამართავს საჯარო ლექციას თემაზე „1918-1921 წლების საქართველო საარქივო მასალებში“ და წარადგენს ემიგრანტ ნიკოლოზ (კოლია) ჭუმბურიძის წიგნად გამოცემულ მოხსენებას, რომელიც პირველად დაიბეჭდა.

– სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ნიკოლოზ ჭუმბურიძის მოხსენება „საბჭოთა საქართველოს ცხოვრებიდან – ბოლშევიკების ექვსი თვის ბატონობის სურათი“ 1921 წლის სექტემბერშია დაწერილი და მოიცავს თვითმხილველის მიერ საქართველოში ბოლშევიკების ბატონობის პირველი ექვსი თვის დეტალურ აღწერას. დოკუმენტი აქამდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისთვის. იგი ინახებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდისა და ლევილის კოლექციებში და საზოგადოებისათვის ახლა გახდა ხელმისაწვდომი, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

ეროვნულ არქივში დაგეგმილ საჯარო ლექციაზე მოხსენებით გამოვლენ ისტორიკოსები დიმიტრი შველიძე, ანტონ ვაჭარაძე, ბექა კობახიძე, დიმიტრი სილაქაძე, ბონდო კუპატაძე, რომლებიც ისაუბრებენ თემებზე: „არქივში დაცული წყაროების მნიშვნელობა საქართველოს და ამიერკავკასიის ისტორიის შესწავლისათვის“, „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის საარქივო მასალის შესწავლის პერსპექტივები“, „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ დიდი ბრიტანეთის არქივში დაცული დოკუმენტების პრეზენტაცია“, „ეროვნულ არქივში დაცული საქართველოს ოკუპაციის ამსახველი მასალები“ და „საქართველოს ცენტრალური არქივის მასალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ“. ღონისძიების დასასრულს კი ნაჩვენები იქნება რეჟისორ გიორგი კაკაბაძის დოკუმენტური ფილმის „საბჭოთა საქართველოს“ ფრაგმენტები.

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში ძველ საბუთთა დედნების კოლექციის დიგიტალიზაცია დასრულდა.

– ცენტრალური საისტორიო არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული ქართული ძველი საბუთების დედნების კოლექცია შედგება 10.956 საბუთისაგან, რაც, თავის მხრივ, მოიცავს 80.000-ზე მეტ გვერდს. კოლექციაში ასახულია XI-XIX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება და აერთიანებს როგორც საერო, ისე სასულიერო შინაარსის დოკუმენტებს. მათ შორის არის მეფეთა ბრძანებები, ოქმები, მდივანბეგთა განაჩენები, წყალობის, შეწირულების, ნასყიდობის, ვალის, მზითვის წიგნები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. საბუთების მასალად გამოყენებულია ქაღალდი და ეტრატი. დამწერლობის მიხედვით ჭარბობს მხედრული, მცირე რაოდენობითაა ნუსხური. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მხატვრულად გაფორმებულ ტექსტებს. ელექტრონულ ფორმატში გადატანის შემდეგ დოკუმენტები სპეციალურ პროგრამაში განთავსდება და მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდება, – ამბობს თეა ქიმერიძე.

ეკა ირემაშვილი

# „გამზრდელი“ აფხაზურად ითარგმნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბებზეა გამახვილებული ყურადღება, რომელიც, იმედია, ჩვენს ხალხებს გააერთიანებს და აუცილებლად საერთო ენას მოაძებნინებს.

**თეიმურაზ გვანცელაძე, პროექტის ორგანიზატორი:**

– ამ ორ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველი მკითხველისთვის, არამედ აფხაზი მკითხველისთვისაც, ქართველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით გამოადგებათ სტუდენტებს და მეცნიერებს, რომლებიც დაინტერესებული არიან აფხაზური ლიტერატურის ისტორიითა და აფხაზურ-ქართულ კულტურული ურთიერთობებით. ამ წიგნის გამოცემას აქვს არა მარტო წმინდა კულტურული და მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ აქვს სასწავლო მნიშვნელობაც. ჩვენი პროექტის დამუშავების დროს მიზნად გვქონდა ამ წიგნების სასწავლო ფუნქციაც, რადგან ჩვენს ქართველ სტუდენტებს, რომლებიც აფხაზურ ენასა და კულტურას სწავლობენ, გვინდოდა, ჰქონოდათ შესაძლებლობა, პირველი აფხაზური გამოცემა 100 წლის შემდეგაც ენახათ, თავიანთი თვალით შეეფასებინათ, გამოეყენებინათ და დაემუშავებინათ.

ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების დათბობაზე არაერთი კულტურული ღონისძიება ეწყობა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა კავშირმა „არტ იბერიონმა“ ქართულ-აფხაზური საღამო „ხმა მიაწვდინე“ გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერლები და პოეტები მამუკა ჩარკვიანი, ირინა ბაირამაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, აფხაზეთის ანსამბლი „დიოსკურია“, „ლილეო“, „ჩოხოსნები“, ფანდურა ბექაური, ბესო მეტრეველი, ვანო წიკლაური, ტარიელ ხარხელაური, გენო კალანდია, ზაზა სუყაშვილი, თემურ ელიავა, სულხან წულუკიძე და მამა პეტრე. ღონისძიებაში მონაწილეობა გალიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა და აფხაზეთსა და საქართველოში მცხოვრებმა აფხაზებმაც მიიღეს. საღამოს პოეტი ჯარჯი შუქიაური და ნინო ჭუმბურიძე უძღვებოდნენ.

**საღამოს ორგანიზატორმა ლევან ჟვანიამ განაცხადა:**

– ამ საღამომ ერთი ნაბიჯით დაგვაახლოვა იმ დიდ სიყვარულთან და ძმობასთან, რაც ჩვენ ოდითგანვე გვქონდა და რამაც ცხადყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერავითარი ძალა ვერ დაგვაშორებს. ამ ღონისძიების ჩატარების მიზანი ქართველებსა და აფხაზებს შორის საუკუნოვანი ძმობისა და სიყვარულის აღდგენის კიდევ ერთი მცდელობაა. მჯერა, რომ მსგავსი კულტურული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქართველებსა და აფხაზებს შორის საუკუნოვანი ძმობისა და სიყვარულის აღდგენას. აფხაზეთი არის საქართველოს ისტორიული, ძირძველი კუთხე. იმედი მაქვს, აფხაზეთი ისევ დაუბრუნდება თავის დედა-სამშობლოს – საქართველოს. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას აფხაზ ახალგაზრდებთან და სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ერთობლივად გამართვას, რისი სურვილიც აფხაზმა ახალგაზრდებმაც გამოთქვეს. ეს კი უკვე ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, პრემიერა გაიმართა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატულ თეატრში. რეჟისორმა გიორგი თავაძემ სპექტაკლი ბრაზილიელი მწერლის ჟორჟ ამადუს პიესის „კინკასის უცნაური გარდაცვალება“ მიხედვით დადგა. ორმოქმედებიანი სპექტაკლი ადამიანის საკუთარ ცხოვრებასთან გაქცევის უძლიერეს სურვილზე და მის მებრძოლ სულზეა აგებული. სპექტაკლის მთავარი გმირის – კინკასისათვის რთულია საჯარო მოხელის განსაზღვრული წესით ცხოვრება, ამიტომ იგი გაურბის ცხოვრებისეულ წვრილმანებს და სულიერი თავისუფლებისკენ ილტვის. სპექტაკლში მერაბ ბრეკაშვილი, დათო ველიჯანაშვილი, გიორგი გასვიანი, ლონდა კაცია, პაატა კიკვაძე, ვახტანგ მოსიძე, ჯულიეტა პაკელიანი, მარინა სოლომონია, ნინო შავგულიძე, ნუგზარ წერედიანი, ეკა არჩაია, ზაზა ასანიშვილი, დათო ბერაძე, თაკო აზნარაშვილი, ნიკა ფაიქრიძე, ბესო ქარჩავა და ნუკრი კონსტანტინოვი მონაწილეობენ. სოხუმის თეატრმა პრემიერა აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით განახორციელა და სპექტაკლი კოტე მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე გაითამაშა.

# ჯიმ სტარკმა მასტერკლასი ჩაატარა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პროდიუსერი და თანასცენარისტი ჯიმ სტარკია. ჯიმ სტარკის პროდიუსირებულ 22 ფილმს შორისაა რეჟისორ ჯიმ ჯარმუშის ცნობილი ფილმები. კინემატოგრაფში ჯიმ სტარკის პირველი ნამუშევრები სწორედ ჯიმ ჯარმუშის სახელს უკავშირდება. იგი ჯარმუშს მცირებიუჯეტიანი ფილმის დაფინანსებაში, წარმოებასა და გაყიდვაში დაეხმარა. ამის შემდეგ ჯიმ სტარკი ჯარმუშის კიდევ სამი სრულმეტრაჟიანი და ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროდიუსერი იყო. ჯიმ სტარკის მრავალწლიანი საპროდიუსერო კარიერა მის ვრცელ ფილმოგრაფიაშია ასახული, რომელიც არაერთ წარმატებულ ფილმს მოიცავს. ერთ-ერთი მათგანი, ბენტ ჰამერის „ფაქტოტუმი“, რომელიც ჩარლზ ბუკოვსკის ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული, თბილისის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში იყო წარმოდგენილი. ჯიმ სტარკის საქართველოში ვიზიტის ორგანიზება კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით მოახერხა.

– ქართული ფილმების დიდი მოყვარული ვარ. საქართველომ რაც ბოლო წლებში გააკეთა კინემატოგრაფში, ეს საოცარია. ახლა ჩამოვედი ქართველ სტუდენტებთან იმაზე სასაუბროდ, როგორ გაკეთდეს კარგი ფილმი, რომ ღირებული ნამუშევარი შეიქმნას. დღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები ძალიან პოპულარულია, ამიტომ ამ მხრივ მუშაობა ყველაზე მომგებიანია, – აღნიშნა ჯიმ სტარკმა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკელი კინოპროდიუსერის ჯიმ სტარკის მასტერკლასს მომავალი ქართველი რეჟისორები და მოყვარული კინომცოდნეები დაესწრნენ.

ეკა ირემაშვილი



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 3. ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 4. სვან მამაკაცთა ცეკვა; 5. დიდი ფორმატის სქელი წიგნი; 7. უწვერულვაშო მამაკაცი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. მოლაპარაკე ფრინველი; 15. ლერმონტოვის პიესა; 16. თვისტომი, ახლობელი, თანამემამულე; 18. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, სადაც გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება; 19. ოპტიკური მინა.

**თარაზულად:** 6. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლენა; 8. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 9. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. მცირეოდენი განსხვავება რამეში; 12. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 14. გია დანელიას კინოკომედია; 17. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ლუკას კრანახის ფერწერული ტილო; 20. ბრიტანელი პოეტი, ლორდი; 21. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 22. ვულკანიდან მაგმის ამოფრქვევა დედამიწის ზედაპირზე; 23. სპორტის სათამაშო სახეობა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მერსიე; 2. ლვოვი; 3. ზული; 5. კომბლე; 6. სუეცი; 7. არლანდა; 11. ნიანგი; 13. ალაბამა; 14. ბონზა; 15. მოურავი; 16. ხორბალი; 17. პუდელი; 19. ოპეკი; 20. ტატო.

**თარაზულად**: 1. მალხაზი; 4. ფურკა; 8. ლორდი; 9. მონე; 10. სევანი; 12. სარდელი; 14. ბონო; 15. მადაფათა; 16. ხუნდი; 18. ბორდო; 21. დუნაი; 22. ლიპტონი; 23. კალიბრი.

**კროსვორდი ბ**:

**შვეულად**: 1. აბსურდი; 2. ფორბსი; 3. კონტრალტო; 4. ხარება; 5. ტაშკენტი; 7. გალო; 11. მერდინი; 13. ჩერჩილი; 15. დასტა; 16. თეთრა; 18. ნალმი; 19. ლექსი.

**თარაზულად**: 6. ბელგია; 8. ბოსფორი; 9. ხალვაში; 10. რეფორმა; 12. დიუმა; 14. მარინა; 17. ტარანტული; 20. თრილერი; 21. ეტიუდი; 22. მიქსტი; 23. ყარაყუმი.

# აჰმადინეჯადი არჩევნების გაუქმებით იმუქრება

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლით დაიმუქრა, თუ მის მარჯვენა ხელს ესფანდირ რაფიმ მაშეის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ეტყვიან. აღნიშნულის შესახებ „თაიმსი“ წერს.



„თუ არჩევნების პროცედურის რეფორმირება არ მოხდა და კადიდატებს მონაწილეობაზე უარს ყოველგვარი მიზეზის გარეშე ეტყვიან, მე არჩევნებს უკანონოდ მივიჩნევ და გავაუქმებ“, — საუბარია პრეზიდენტის ღია წერილში, რომელიც პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის ივნისში უნდა გაიმართოს.

ირანის პრეზიდენტი, ისლამური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, აირჩევა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით 4 წლის ვადით. იგი ქმნის მინისტრთა კაბინეტს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ირანის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება იმყოფება ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ლიდერის (ამჟამად აიათოლა ჰამენეი) კონტროლის ქვეშ. პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ. თავდაპირველად მას სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი და მისი ბევრი ფუნქცია პრეზიდენტს დაეკისრა. ამჟამად ირანის პრეზიდენტი გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს.

# „რუსეთში კორუფციული დანაშაული გაიზარდა“



2012 წელს რუსეთში კორუფციისაგან მიყენებული ზარალი 21 მილიარდ რუბლს შეადგენს. „ინტერფაქსის“ ცნობით, აღნიშნულის შესახებ რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ განაცხადა.

„მოცემული მაჩვენებელი მეოთხედით აღემატება 2011 წლის მაჩვენებელს. წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მსგავს ქმედებას ჩადიან“, -აღნიშნავს გენპროკურორი.

ჩაიკას თქმით, იმ დანაშაულებების რაოდენობა, რომლებსაც მსხვილი და განსაკუთრებით მსხვილი ზარალი მოაქვს, კიდევ უფრო – 80%-ით გაიზარდა.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, გენპროკურორის თქმით, წელიწადში 83 000 დარღვევა გამოვლინდა, აღძრულია 343 სისხლის სამართლის საქმე.

ჩაიკას შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი ალექსანდრ ბასტრიკინი გამოვიდა: „მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს ზოგადად ქვეყანაში დანაშაული 4%-ით შემცირდა, კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და თითქმის 50 000 შეადგინა“.

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც მოუხდა აღიარება, რომ კორუფცია არის რუსეთის ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი. ჟურნალისტების შეკითხვის პასუხად, რომელიც ეხებოდა კორუფციისა და მასთან ბრძოლის პერსპექტივებს რუსეთში, პუტინმა აღნიშნა, რომ ეს სენი ქვეყანაში იყო ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროს, რომელიც 1721 წელს გახდა რუსეთის იმპერიის პირველი იმპერატორი. პუტინმა გაიხსენა: „როდესაც გენერალური პროკურორის ჩივილის მოსმენისას პეტრე პირველმა წინადადება მისცა მას, სულ უმცირესი დატაცებისა და ქურდობისთვისაც კი ციმბირის კატორღაში გაეგზავნათ ადამიანები, პროკურორი სამართლიანად შეეპასუხა: „ვისთან ერთად დარჩები მეფეო – რუსეთში ხომ ყველა იპარავს“. შემდეგ პრეზიდენტმა დასძინა, რომ მართალია, რუსეთში კორუფცია ტრადიციად არის ქცეული, მაგრამ ამის წინააღმდეგ საჭიროა თანმიმდევრული და ბეჯითი ბრძოლა; საჭიროა სანქციათა გამკაცრება და იმის მიღწევა, რომ ამ სფეროში ნებისმიერი დარღვევას უცილობლად მოჰყვებოდეს სასჯელი.

დასკვნის სახით პუტინმა განაცხადა, რომ გასულ წელს კორუფციული საქმიანობისათვის დაკავებული იყო 800 კაცამდე, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ მოხელეები, დეპუტატები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.

# მისისიპიში მონობა ახლა აიკრძალა

მისისიპის შტატი ბოლო ამერიკული შტატია, რომელშიც მონობა გაუქმდა. მისისიპიში მონობის გაუქმების შესახებ კანონი, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, მისი ძალაში შესვლიდან 148 წლის შემდეგ ამოქმედდა.



1995 წელს სენატმა და მისისიპის შტატის წარმომადგენლობითმა პალატამ ერთხმად მიიღო მე-13 შესწორება, თუმცა ოფიციალური ძალა მას არ მიუღია, რამდენადაც დოკუმენტის ასლი აშშ-ს ფედერალურ რეესტრში არ გადაგზავნილა.

მსგავს კაზუსს მხოლოდ ცოტა ხნის წინ მიაქცია ყურადღება ერთ-ერთმა მეცნიერმა, მისისიპის უნივერსიტეტის დოცენტმა რანჟარ ბარტმა. ამიტომ, მხოლოდ 2013 წლის 7 თებერვალს აშშ-ს ფედერალური რეესტრის დირექტორმა ჩარლზ ბარტმა განაცხადა, რომ შესწორება ოფიციალურად შესულია ძალაში.

მე-13 შესწორება აშშ-ს კონსტიტუციაში 1865 წლის 6 დეკემბერს მას შემდეგ შევიდა, რაც მისი რატიფიცირება შტატების სამმა მეოთხედმა ( იმ მომენტში არსებული 36-დან 27 შტატი) მოახდინა. ზოგიერთმა შტატმა ეს ნაბიჯი ასწლეულის შემდეგ გადადგა. მაგალითად, კენტუკიში ეს 1976 წელს განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ რანჟან ბარტა დოკუმენტებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც სტივენ სპილბერგის დოკუმენტურ ფილმ „ლინკოლნს“ უყურა.

მისისიპი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთის ცენტრალურ რეგიონში. სახელი ინდიელთა ენაზე „დიდ მდინარეს“ ნიშნავს. ეს ტერიტორია 1540 წელს გამოიკვლია ერნანდო დე სოტომ. 1699 წელს ფრანგებმა შექმნეს დასახლება, 1763 – პარიზის შეთანხმებით გადაეცა ინგლისს. 1798-დან აშშ-ს ტერიტორიაა, 1817-დან – შტატი. 1861-1870 წლებში კონფედერაციის წევრი იყო.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# „აისაფის“ მისიის გენერალი თანამდებობიდან გადადგა

აშშ-ის საზღვაო ფლოტისა და ავღანეთში „აისაფის“ მისიის გენერალი, ჯონ ალენი თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ „იუესეი თუდეი“ იუწყება.



გავრცელებული ინფორმაციით, ჯონ ალენმა, რომელიც ბარაქ ობამამ რამდენიმე ხნის წინ ევროპაში ნატო-ს შეიარაღებული ჯარების მთავარსარდლის თანამდებობაზე წარადგინა, გადაწყვეტილება ოჯახური პირობების გამო მიიღო.

როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, ამ გადაწყვეტილების მიზეზი გენერლის ცოლის ავადმყოფობა გახდა: „დროა ჩემს ოჯახს მეტი დრო დავუთმო“, - ამბობს გენერალი.

ამასთან, ალენმა უარყო გავრცელებული მოსაზრება, რომ მისი გადადგომა შესაძლოა იმ გამოძიებას უკავშირდება, რომელიც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ჯილ კელისსა და ალენს შორის არსებული მიმოწერის გამო დაიწყო..

წლების განმავლობაში გაწეული სამსახურისთვის მას მადლობა გადაუხადეს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ და თავდაცვის მდივანმა დევიდ პეტრეუსმა, რომელმაც ჯონ ალენს „ბრწყინვალე სტრატეგი და საზღვაო ფლოტის სამაგალითო გენერალი“ უწოდა.

ჯონ ალენი სამხედრო სამსახურში 1976 წლიდან მოყოლებული მსახურობდა.

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ალენი ევროპაში ნატოს ძალების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 2012 წლის ოქტომბერში წარადგინა.

# რაფი ოვანისიანი დამარცხებას არ აღიარებს

სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის მთავარი მეტოქე რაფი ოვანისიანი დამარცხებას არ აღიარებს.

წინასწარი მონაცემებით, რაფი ოვანისიანი მეორე ადგილზე გავიდა და მან ხმების 36,75% მიიღო. სერჟ სარქისიანმა კი ხმების 58,64% დააგროვა, რაც ნიშნავს, რომ სარქისიანი ქვეყნის პრეზიდენტი მეორე ტურის ჩატარების გარეშე გახდა. თუმცა, ოვანისიანი და მისი მხარდამჭერები აღნიშნულს არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ სწორედ ოვანისიანი აირჩია სომეხმა ხალხმა პრეზიდენტად.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური მონაცემებით, სხვა კანდიდატების შედეგები 3%-ს არ აღემატება.

საერთაშორისო დამკვირვებელმა მთლიანობაში დადებითად შეაფასეს ჩატარებული არჩევნები, თუმცა მათ გარკვეულ დარღვევებზეც ისაუბრეს.




ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ჰაიდი ტალიავინის თქმით: „მთლიანობაში არჩევნები პროფესიონალურად ჩატარდა“.

„ბიბისის“ ინფორმაციით, სომხეთის არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ხოლო არჩევნებამდე არაერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ გამარჯვების რეალური შანსი სწორედ მოქმედ პრეზიდენტს ჰქონდა, ვინაიდან იმ კანდიდატებმა, რომლებსაც რეალური კონკურენციის გაწევა შეეძლოთ, გაურკვეველი მიზეზების გამო საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს.

შეგახსენებთ, რომ 18 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში შვიდი კანდიდატი მონაწილეობდა.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები მარინა, ირინა, კახაბერ მამალაძეები, რძლები ნათია აბულაძე, კაროლინ ჰაუთც-ვადაჭკორია, სიძეები ზურაბ ვადაჭკორია, თეიმურაზ კევლიშვილი, დავით ებრალიძე, მძახლები ოთარ ვადაჭკორია, მანანა ებრალიძე, ბორის თბილელი ოჯახებით, შვილიშვილები დეა და ოთარ ვადაჭკორიები, გვანცა და თამთა კევლიშვილები, ანა-მარია მამალაძე, შვილთაშვილები ნიცა და ზურაბ ებრალიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რიმა კილაძე-მამალაძე**

გამოსვენება: 21 თებერვალს, 15 საათზე, ამაღლების სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოს ცენტრალურ შესასვლელთან).

პეტრე ბერაია, გია მირიანაშვილი ოჯახებით იუწყებიან გია უხურგუნაშვილის მამის

**თედო უხურგუნაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სირიაში სარაკეტო დაბომბვის შედეგად 30 ადამიანი, მათ შორის, ბავშვები დაიღუპნენ

სირიის სამრეწველო დედაქალაქ ალეპოს მიმდებარედ სარაკეტო დაბომბვის შედეგად 30 ადამიანია დაღუპული. ინფორმაციას ბი-ბი-სი სირიის ოპოზიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

დაღუპულთა უმეტესობა ბავშვია, იტყობინება სირიის უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომელიც დიდ ბრიტანეთშია ბაზირებული.

არსებობს ინფორმაცია, რომლის მიხედვით დანგრეული შენობებში შესაძლოა რამდენიმე ადამიანი იყოს მოყოლილი.

სირიის სახელისუფლებო მედია იტყობინება, რომ რამდენიმე აფეთქება მოხდა დამასკოში, პრეზიდენტის სასახლის მიმდებარედ.

უცნობია, იმყოფებოდა თუ არა აფეთქების დროს პრეზიდენტის სასახლეში ბაშარ ასადი.

ამ ფონზე, რუსეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტროს თვითმფრინავმა სირიიდან რუსეთისა და ყოფილი დსთ-ს ქვეყნების ასამდე მოქალაქე მოსკოვში ჩაიყვანა. „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტის თქმით, მათი დიდი ნაწილი ქალები და ბავშვები არიან.

„ყველა, ვინც სირიის დატოვების სურვილი გამოთქვა, მოსკოვში ჩამოვიყვანეთ“, - აღნიშნა სამინისტროს წარმომადგენელმა იური ბესედინმა.

იანვრის ბოლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტროს კიდევ ორმა თვითმფრინავმა დააბრუნა რუსეთის მოქალაქეები სამშობლოში. რუსი დიპლომატები აღნიშნავენ, რომ სირიიდან რუსები მათი მოთხოვნის გამო ჩამოჰყავთ და „საქმე ევაკუაციას არ ეხება“.

რუსეთის დიპლომატიურ უწყებაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე რუსეთის მოქალაქეების სრული ევაკუაცია არ იგეგმება, თუმცა ემზადებიან იმ მომენტისთვისაც, როდესაც ასეთი ევაკუაცია გახდება საჭირო.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის მარტიდან სირიაში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებას 70 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა.

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 21 თებერვალი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„) 15.00 დ/ფ „ როგორ შეგვქმნა დედამიწამ/ — წყალი 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი -2„ (მ.გიბსონი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00, 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 3 ნაწილი 14.00 დ/ფ „ღვინო„ I ნაწ.




19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ.„მაფიის ქვრივი„4 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქართ. მხ/ფ „ცხელი ძაღლი„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „ბრინსთრითელი ხულიგნები„ (კ.ფორლანი) 01.10 სერ. „ღვინის გზა„ 01.45 მხ/ფ „ჩამსკრაბერი„ (გ. კლოუზი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მზზნებარე გული„ 20.05 სერ.„ღირსება და ამბიცია„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „ვერდიქტი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „მეფე და ბერი„ 11.05 ჩვენი ტრაპეზი 11.15 დოკ/ფ „წმინდა მეფე სოლომონ II„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „განგაში„ 13.40 კონცერტი-ელისო ვირსალაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „წერილი ძმას„ 16.50 მხ/ფ „მაისის თოვლი„ 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სანამ წვიმა გადივლიდეს„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ზაზუნას დღე

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 1.40 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6541 |
| ევრო | 2,2052 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5629 |
| 100 რუსული რუბლი | 5,4903 |

## ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისთვის








## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!




22 თებერვლიდან გაიყიდება **პირველი და მეორე ტომები**

1 მარტიდან **მესამე ტომი**

5 მარტიდან **მეოთხე ტომი**







**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ასტროპროგნოზი 21 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ლომი** — საღამო მშვენიერი იქნება, გელით რომანტიკული შეხვედრა. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**ღრიანკალი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი დააფიქსირეთ. **მერწყული** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **თევზები** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ მოდუნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ქართული ბანკი; 3. შებოლილი ზუთხის ან ორაგულის რბილი ნაჭერი; 5. მაღაროს გასანათებელი მეშახტის ფანარი; 6. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 7. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 11. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 13. კაზაკთა დიდი სოფელი; 14. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 15. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; 16. გარემო საორიენტაციო ხელსაწყო; 17. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 19. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 20. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი.

**თარაზულად:** 1. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 4. წყლის საქაჩი მექანიზმი; 8. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 10. დიდი ზომის მახრჩობელა გველი; 9. ფულის საერთაშორისო ერთეული; 12. მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 14. შტატი ბრაზილიაში; 15. ქალაქი ესპანეთში, სადაც ტარდება კორიდის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 16. სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი; 18. ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი; 21. შოკოლადის ხე; 22. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 23. ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა





## ფაჩულიას ჰოლივუდისკენ უშვებენ

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ფანჯარა დღეს იხურება და არის შანსი, ქართველმა ზაზა ფაჩულიამ გუნდი შეიცვალოს. ამერიკული პრესის ცნობით, ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ჯორჯია, შესაძლოა, კალიფორნიაზე გაცვალოს და ჰოლივუდის სიახლოვეს გადაბარგდეს.

მოსალოდნელია, „ატლანტა ჰოუქსსა" და „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" შორის ხმაურიანი გაცვლა განხორციელდეს: ჯორჯიის შტატიდან ლოს ანჯელესში ფორვარდი ჯოშ სმიტი და ზაზა ფაჩულია გადავიდნენ, ხოლო სანაცვლოდ ატლანტაში მეფარე დუაით ჰოვარდი ჩაირიცხოს.

საერთოდ, სმიტის თემა აქტუალური გახდა. „ატლანტამ" თავის ერთ-ერთ ლიდერს მაქსიმალური ხელფასის გადახდაზე უარი განუცხადა და ყველანაირი ხერხით ცდილობს, საგაზაფხულო დედლაინის დადგომამდე სარფიანად გაცვალოს. „ჰოუქსის" ხელმძღვანელობა აქტიურად განიხილავს სმიტის „მილუოკიში" ტრეიდის ვარიანტს, თუმცა ჯორჯიული კლუბი სანაცვლოდ ითხოვს, გაცვლაში ჩაერთოს მონტა ელისი, ვინაიდან „ატლანტას", ლუის უილიამსის ტრავმის გამო, სერიოზული პრობლემები გააჩნია უკანა ხაზში.

როგორც ხედავთ, მეორე ვარიანტში ფაჩულიას გვარი უკვე აღარ ფიგურირებს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ჰილარი კლინტონი ლექციებს წაიკითხავს

აშშ-ს ექსსახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელმაც თანამდებობა თებერვლის დასაწყისში დატოვა, სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე ლექციებს წაიკითხავს. ამის შესახებ ინფორმაციას ნიუიორკის სააგენტო „ჰარი უოლკერი" ავრცელებს.

სააგენტო ცნობილი ადამიანების საჯარო გამოსვლებითაა დაკავებული — ესენი არიან პოლიტიკოსები, ნობელის ლაურეატები, ეკონომისტები, ბიზნესმენები, მწერლები, ჟურნალისტები, მუსიკოსები, სპორტსმენები, აღნიშნავს „იტარ-ტასი".

„ჰარი უოლკერთან" ასევე თანამშრომლობს ჰილარი კლინტონის მეუღლე — ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი, გაეროს ყოფილი გენმდივანი კოფი ანანი, მექსიკის ექსპრეზიდენტი ფელიპე კალდერონი, სა-



ბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გეორგიუს პაპანდრეუ, კალიფორნიის ექსგუბერნატორი, ჰოლივუდის ვარსკვლავი არნოლდ შვარცენეგერი.

მასმედიის მონაცემებით, ბილ კლინტონის ჰონორარი ერთ გამოსვლაზე 290 ათას დილარს შეადგენს. ჰილარი კლინტონმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამდებობა პირველ თებერვალს დატოვა და იგი ჯონ კერის დაუთმო. სააგენტო „ჰარი უოლკერი" 1946 წელს დაფუძნდა.

გ. მ.

## ჯიმ სტარკმა მასტერკლასი ჩაატარა



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში „კინოკლუბის" დარბაზში ამერიკელი კინოპროდიუსერის ჯიმ სტარკის მასტერკლასი ჩატარდა. შეკრებილი სტუდენტებისთვის ცნობილმა პროდიუსერმა იმ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა, თუ როგორ კეთდება ღირებული კინო.

— ჯიმ სტარკი შარშანაც იმყოფებოდა თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოს 20-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების ფარგლებში. იგი სტუმრობდა თბილისის საერთაშორისო სტუდენტურ კინოფესტივალ „ამირანს" და გახლდათ ჟიურის საპატიო თავმჯდომარე. ბატონი სტარკი უკვე 30 წელია მოღვაწეობს კინოს სამყაროში და არაერთი წარმატებული პროექტის (ფილმის) ავტორია. იგი თანამშრომლობდა ისეთ დიდ რეჟისორთან, როგორიც არის ჯიმ ჯარმუში. ბატონი სტარკი ძირითადად დაბალბიუჯეტიან ფილმებზე მუშაობს, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში და, შესაბამისად, მისთვის არ არის უცხო ის შეზღუდული პირობები, რაც ჩვენს ეროვნულ კინო სამყაროში გაგვაჩნია. მასტერკლასის ძირითადი თემა იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ბატონმა სტარკმა ისაუბრა, თუ როგორ გადავიღოთ კარგი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ნაჩვენები იქნა კონკრეტული მაგალითები და საუბარიც იყო ძალზე კონკრეტული, საინტერესო და სასარგებლო. ასეთი დონის პროფესიონალები კინოს დარგში იშვიათობაა, როცა გვეძლევა საშუალება, მათ შევახვედროთ სტუდენტები, გავასაუბროთ და გამოცდილება გავაზიარებინოთ, პირველ რიგში ეს ყველაფერი სტუდენტებისთვის არის სასარგებლო და მნიშვნელოვანი, — განაცხადა თეატრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ.

ჯიმ სტარკი საქართველოში 2011 წელსაც იმყოფებოდა. იგი თბილისის მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალის სპეციალური სტუმარი იყო. ამერიკელი პროდიუსერი და სცენარისტი ჯიმ სტარკი კინოთეატრ „ამირანში" კინოსამყაროს წარმომადგენლებს შეხვდა და მასტერკლასი ჩაატარა თემაზე „პროდიუსერის შემოქმედებითი როლი დამოუკიდებელ კინოში". მასტერკლასის დაწყებამდე „ამირანში" ნაჩვენები იქნა ფრიდრიკ თორ ფრიდრიკსონის ფილმი „ცივი ცხელება", რომლის

გაგრძელება მე-10 გვერდზე